# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 24 მარტი, 2011 წელი.

№54 (6666)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge   ვებ გვერდი: www.open.ge   ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.



## აზიზიეს მეჩეთის მშენებლობა უკმაყოფილებასა და დაპირისპირებას გამოიწვევს

3

## „სამოქალაქო ფრონტი“ უკომპრომისო ფრონტისთვის ემზადება

2

ჯაბა ჯიშკარიანი თავის მეგობრებთან ერთად გააქტიურდა

## „დოქტორ“ სააკაშვილის ვნებანი



თავისი გამოსვლის დროს რეფორმატორად წოდებულმა სააკაშვილმა რა არ განიხილა გულუბრყვილო, საქმეში ჩაუხედავი ამერიკელების წინაშე, რომელთა დიდ ნაწილს დღემდე ვერ გაუგია, რა კავშირი აქვს „ჯორჯიასთან“ სააკაშვილს. ან სად არის ის „ჯორჯია“, რომელსაც ამერიკელთა მეგობარი, დემოკრატი, დოქტორი სააკაშვილი უდგას სათავეში.

5



## ჩაიქროლოს წელმა ასმა - ვერვინ შექლოს შენებრ „ბასმა“...

11

## სომხებს ჩვენი ვალების დასაკუთრებაც უნდათ?!

9

## რევოლუციების საფრთხის თვალსაზრისით სამხრეთ კავკასია დანარჩენი მსოფლიოს წინა რიგებშია



2



## ჯაშუშომანიის შეტევა

8

## მიწას რა უნდა გლეხკაცის ხელში, ის ბანკში უნდა ჩაიდოს!..



9

იმ დროს, როცა საქართველოს მოსახლეობას ათასგვარი უვარგისი, გენმოდიფიცირებული სოფლის მეურნეობის პროდუქციით კვებავენ (მაგალითად, ხორბლით, სიმინდით, პამიდვრით), საქართველოში მოყვანილი ეკოლოგიურად სუფთა კარტოფილი... საზღვარგარეთ (??!) იყიდება.

## სოციალური ქსელიდან - სოციალურ მედიამდე

6



ბრიფინგი

# „სამოქალაქო ფრონტი“ უკომპრომისო ფრონტისთვის ემზადება

## ჯაბა ჯიშკარიანი თავის მეგობრებთან ერთად კვლავ გააქტიურდა

**რადიკალური და პოლიტიკურად ექსტრავაგანტური ჯაბა ჯიშკარიანი 1 აპრილიდან გააქტიურებას გეგმავს. ორგანიზაცია „7 ნოემბრის“ შემდეგ, სულ რაღაც თვენახევრის წინათ ასეთივე მოძრაობა „სამოქალაქო ფრონტი“ შექმნა. ოფისი მელიქიშვილის 5 ნომერში მდებარეობს, სადაც ადრე ოქრუაშვილის პარტია იყო განთავსებული, თუმცა ეკა ბესელიას პარტიიდან წასვლის შემდეგ, სტრუქტურა დაიშალა. შენობა ოქრუაშვილის საკუთრებაა და ჯიშკარიანიც ამტკიცებს, რომ სრულიად უსასყიდლოდ დაუთმო, თუმცა „ქართულ პარტიასთან“ ალიანსს გამორიცხავს.**

ჯაბა ჯიშკარიანი ჩვეული ამბიციურობით აპირებს პოლიტიკურ პროცესებში ჩაბმას, რომელიც საბოლოო ჯამში ხელისუფლების დემონტაჟს გულისხმობს. „სამოქალაქო ფრონტის“ ოფისის კარი ღიაა ყველასთვის, ვისთვისაც მთავარი ამოცანა მიხეილ სააკაშვილისა და მისი კლანის ქვეყნის სადავეებიდან მოშორებაა, არა შორეულ და ბუნდოვან პერსპექტივაში, არამედ კონკრეტული, სწრაფი, უკომპრომისო და გააზრებული მოქმედების შედეგად“, — აღნიშნა ჯაბა ჯიშკარიანმა მედიისთვის გაკეთებულ განცხადებაში.

პოლიტიკური ორგანიზაციებისგან განსხვავებით „სამოქალაქო ფრონტი“ ის ძალაა, რომელიც ხელისუფლებასთან არანაირ გარიგებაზე არ წავა“, — პირობას დებს ჯიშკარიანი. მოძრაობაში ძირითადად ახალგაზრდები ერთიანდებიან, რომლებიც ათეულებად დაიყოფიან და პერმანენტულ აქციებში ჩაებმებიან. როგორც კი რეგისტრაციის პირველი ეტაპი დასრულდება, რადიკალურ ქმედებებზე გადავლენ. ესტუმრებიან ჩინოვნიკთა სახლებს და მოუწოდებენ სკამების დატოვებისკენ. **„გავაკრავთ აბრას „დაყარეთ იარაღი!“ და ეს იქნება პირდაპირი და ირიბი მნიშვნელობისა, მათ თავი უნდა დაანებონ ხალხის ბედით მანიპულირებას. თუკი დროულად მოინანიებენ თავიანთ საქციელს, შევიწყალებთ, თუ არა და, უმკაცრესად დაისჯებიან ობიექტური სასამართლოს მიერ“,** — იქადნება ჯაბა ჯიშკარიანი.



„სამოქალაქო ფრონტი“ რეალური ფრონტისთვის ემზადება და ხელისუფლებას დისკომფორტს ჰპირდება, თუმცა არ გამორიცხავს ძალადობასაც, რაზეც პასუხისმგებლობას მთლიანად ხელისუფლებას აკისრებს, რადგან ახალგაზრდები კანონის ფარგლებიდან გადაცდომას არ აპირებენ.

ჯაბა ჯიშკარიანი საარჩევნო კანონმდებლობის შესახებ ხელისუფლებასთან დაწყებულ დიალოგს ოპოზიციის სისუსტედ მიიჩნევს, რომელიც შედეგის თვალსაზრისით უსარგებლო იქნება. ამიტომ ურჩევნია ყველა იმ პოლიტიკური ძალის გვერდით დადგეს, ვინც რადიკალიზმისა და ქუჩის აქციების მომხრეა.

საჭიროა თუ არა ახალი გაერთიანება ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად, როცა უკვე არსებობენ „შეფიცულთა რაზმები“, სადაც ახალგაზრდები აქტიურად წევრდებიან, ან რატომ უნდა იბრძოლონ ცალ-ცალკე, როცა იდეაში მოქმედების გეგმა თითქმის ერთნაირი აქვთ? — ამ კითხვას ჯიშკარიანი თავს არიდებს და ამბობს, რომ არ იცის, გამოუვათ თუ არა „შეფიცულებთან“ ურთიერთობა, ან საერთოდ გადაკვეთს თუ არა მათი გზები ერთმანეთს.

**ფაქტია, რომ „სამოქალაქო ფრონტის“ ლიდერი სიურპრიზის ხასიათის გააქტიურებას გეგმავს, რომელსაც, სრულებით არაა გამორიცხული, თბილისის ქუჩებში ძალადობის ესკალაცია მოჰყვეს. ამის გამოცდილება ჯაბა ჯიშკარიანისა და მისი მეგობრების პოლიტიკურ წარსულს ნამდვილად არ აკლია...**

**თეა მოსია**

ომი არაბულ სამყაროში

**რევოლუციური ტალღა, რომელმაც არაბულ სამყაროს ახალი წლის დადგომასთან ერთად გადაუარა, უკვე მესამე თვეა ბობოქრობს. რა ხდება არაბული სამყაროს თავს, რამდენად არსებობს საპროტესტო მღელვარების დანარჩენ მსოფლიოზე გავრცელების ალბათობა, საერთოდ რა არის რევოლუცია და არის თუ არა სახელმწიფო გადატრიალების ერთი კონკრეტული სცენარი ყველა ქვეყნისთვის ერთი და იგივე შედეგის მომტანი, „ჯი-ეიჩ-ენი“ უსაფრთხოების პოლიტიკის ექსპერტს, ირაკლი სესიაშვილს ესაუბრა.**



# რევოლუციების საფრთხის თვალსაზრისით სამხრეთ კავკასია დანარჩენი მსოფლიოს წინა რიგებშია

**— ბატონო ირაკლი, არაბულ სამყაროში სიტუაცია ისევ დაძაბულია. თქვენი აზრით, რამ განაპირობა რევოლუციური ტალღის თანამიმდევრობით გავრცელება არაბულ ქვეყნებზე?**

— არაბულ სამყაროში მიმდინარე რევოლუციად მონათლული პროცესები რომ შევაფასოთ, საჭიროა ვიცოდეთ იქ მცხოვრები ადამიანების ტრადიცია, ისტორია და ის სიტუაცია, რომელშიც მათ უწევთ ცხოვრება. მარტივად რომ ვთქვათ, მათ ყელში ამოუვიდათ მობეზრებული დიქტატორები, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად არაბული სამყარო შეჩვეულია დიქტატორულ მმართველობას. იმ ქვეყნებმა, რომლებიც წლების განმავლობაში სხვადასხვა ევროპული სახელმწიფოს (საფრანგეთის, ინგლისის, ესპანეთისძ კოლონიებს წარმოადგენდნენ, თუმცა დეკოლონიზაციის შემდგომაც ჰქონდათ მათთან საკმაოდ ხშირი ურთიერთობა, საკუთარი თვალით დაინახეს რა არის დემოკრატია, რა შედეგის მოტანა შეუძლია და როგორ ზემოქმედებს სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე. ამ ყველაფერმა ახალგაზრდა თაობაში გააჩინა თავისუფალი ცხოვრებისთვის უფრო მეტი ბუნებრივი მოთხოვნილება. ის, რაც არაბულ სამყაროში დღეს ხდება, არის არა რევოლუცია დემოკრატიისთვის, არამედ რევოლუცია დიქტატორული მმართველობისგან თავის დაღწევისთვის. ეს ძალიან განსხვავდება იმ ვითარებისგან, რაც, თუნდაც, პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებობს. პოსტსაბჭოთა სივრცის სახელმწიფოებმა ეს ეტაპი, რაზეც ახლა არაბული ქვეყნები იმყოფებიან, გაიარეს და ეს იყო ბრძოლა საბჭოთა კავშირიდან გასვლისთვის. პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებს გავლილი აქვს ბრძოლის მეორე ეტაპიც, რაც უკვე საბჭოური გადმონაშთებისგან გათავისუფლებას შეეხებოდა. ბრძოლის შემდეგი ეტაპი კი მიმართული იქნება არა კონკრეტულად რეჟიმების წინააღმდეგ, არამედ ეს იქნება ბრძოლა დემოკრატიული ღირებულებებისთვის, იმ ტიპის სახელმწიფოების ჩამოყალიბებისთვის, როგორებიც არსებობენ ევროპაში, ამერიკაში...

**— გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ლიბიის საკითხზე რეზოლუციის მიღებას რუსეთი და ჩინეთი ეწინააღმდეგებოდა. თქვენი აზრით, რატომ იყვნენ ეს ქვეყნები ასეთი კატეგორიულები?**

— ევროკავშირის უმაღლესმა კომისარმა შტეფან ფულემ ევროპარლამენტში გამოსვლისას ძალიან მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა, რომ **ევროპამ მხარი უნდა დაუჭიროს დემოკრატიისთვის მებრძოლ დემონსტრანტებს და არა დიქტატორებს, რომლებიც საკუთარ მოქალაქეებს კლავენ.** ვფიქრობ, ეს არის ისტორიული განცხადება, რადგან ის თავის თავში გულისხმობს იმას, რომ როცა ხალხი რეჟიმის წინააღმდეგ, დემოკრატიისთვის იბრძვის, არ შეიძლება დასავლეთმა მასზე თვალი დახუჭოს. შესაბამისად, მაშინ, როცა ლიბიის მეთაურმა საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს გადააბიჯა, საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ სამხედრო ძალა გამოიყენა და ფაქტობრივად, კაცობრიობის წინაშე ჩაიდინა დანაშაული, დასავლეთი აღმოჩნდა გარკვეული ვალდებულების წინაშე, რომ დაეცვა საერთაშორისო სამართალი და ამ ქვეყანაში მცხოვრები ადამიანები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის აღმოჩნდებოდა იმ რეალობის წინაშე, რომ საკუთარი სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობის გარდა, სხვა არაფერი აინტერესებს. სწორედ ამიტომ დასვა დასავლეთმა საკითხი, როგორ მოქცეულიყო ლიბიასთან მიმართებაში? ამ კონტექსტში ერთ-ერთ ვერსიად ქვეყნის საჰაერო სივრცის კონტროლი განიხილებოდა, რადგან თუ კადაფი მეამბოხეებზე უპირატესობას ფლობდა, ფლობდა სწორედ „ჰაერში“, საიდანაც ის ძალიან ადვილად ბომბავდა მშვიდობიან მოსახლეობას ან მისი რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლებს. სხვათა შორის, ეს რომ რომელიმე ქვეყანას გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის გარეშე გაეკეთებინა, გაჩნდებოდა საფრთხე, რომ ის საერთაშორისო სამართლის დარღვევად, კერძოდ კი ინტერვენციად აღიქმებოდა, რაც, ჩემი აზრით, ზოგიერთ არაკეთილმოსურნე სახელმწიფოს ხელ-ფეხს გაუხსნიდა შემდგომში მსგავსი ნაბიჯები მისი ინტერესების მქონე სხვა ქვეყნებში თავადაც გადაედგა. მაგალითად, თუ შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, ან საფრანგეთი გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის გარეშე შეიჭრებოდა ლიბიაში, არ იყო გამორიცხული, რომ რუსეთს ეს ფაქტორი იმ შემთხვევაში გამოეყენებინა, თუკი რევოლუციას პოსტსაბჭოთა სივრცეშიც ექნებოდა ადგილი — მოსკოვი თავადაც შევიდოდა და იტყოდა, რომ ხალხს იცავს რეჟიმისგან. ამ შემთხვევაში დასავლეთს გაუჭირდებოდა შეწინააღმდეგებოდა მოსკოვს, რამდენადაც მსგავსი მაგალითი უკვე იარსებებდა. გარდა ამისა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თუკი საერთაშორისო სამართლის ნორმებს თავად დემოკრატიული სახელმწიფოები დაარღვევდნენ, ეს საერთაშორისო სამართლის მიმართ პატივისცემას შეამცირებდა, რაც ძალიან ცუდად იმოქმედებდა მსოფლიო წესრიგზე.



რაც შეეხება უშუალოდ რუსეთსა და ჩინეთს, რომლებიც აღნიშნული რეზოლუციის მიღებას ეწინააღმდეგებოდნენ, ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. არაბულ სამყაროში შექმნილმა კრიზისმა, რამაც ნავთობის ფასის გაძვირება გამოიწვია, რუსეთს საშუალება მიეცა ამ მიმართულებით კარგად ეხეირა და საკმაოდ დიდი მოგება ენახა. სავარაუდოდ, რუსეთი იმ ვარიანტსაც განიხილავდა, რომ რომელიმე სახელმწიფო ამბოხებულების დასახმარებლად ლიბიაში გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის გარეშეც შეიძლებოდა შესულიყო, თუკი მისი მიღება ვერ მოხდებოდა, რაც მოსკოვს სამომავლოდ პარალელების გავლების არგუმენტაციას უჩენდა და ამ ფაქტორს პოსტსაბჭოთა სივრცეში გამოიყენებდა. ფაქტობრივად, რუსეთი იყო ჩასაფრებული და ამ ჩასაფრების პირობებშიც ის ნახულობდა საკმაოდ დიდ მოგებას. გარდა ამისა, კადაფი დაპირდა რუსეთსა და ჩინეთს, რომ, როგორც რეზოლუციის მიღების მოწინააღმდეგე ქვეყნებს, ნავთობს მიჰყიდდა, რასაც ეს უკანასკნელნი უკვე თავად გაყიდდნენ დასავლეთის ქვეყნებზე, ანუ ლიბიის მეთაურმა კარგი მოგების შანსით დააინტერესა ეს ქვეყნები, მაგრამ, საბოლოოდ, გაეროს უშიშროების საბჭომ რეზოლუცია მაინც მიიღო (მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა, ჩინეთმა და კიდევ რამდენიმე ქვეყანამ გადაწყვეტილების მიღებისას თავი შეიკავესძ. როგორც ჩანს, შეერთებულმა შტატებმა და სხვა სახელმწიფოებმა დაარწმუნეს რუსეთი, რომ ლიბიაში არსებული სიტუაციის განსამუხტავად დაუყოვნებლივი მოქმედებების დაწყება იყო აუცილებელი და უთხრეს, რომ კადაფი, რომელმაც საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ ძალა გამოიყენა, ცივილიზებული საზოგადოებისთვის მიუღებელია. რუსეთი ისევ საკუთარ პოზიციაზე რომ დარჩენილიყო, მის საერთაშორისო იმიჯს სერიოზული საფრთხე დაემუქრებოდა.

**— რჩება თუ არა შთაბეჭდილება, რომ დასავლეთი არაბულ სამყაროში მოვლენების ამგვარი სცენარით განვითარებისთვის მზად არ იყო? ამაზე თუნდაც მუამარ კადაფის მუქარის ტონი მეტყველებს, რომელიც მსოფლიო ლიდერებს პირობებს იქით უყენებს...**

— კადაფიმ კონტროლის სადავეები ხელიდან გაუშვა მაშინ, როცა შესაძლებელი იყო ლიბიაში არსებული კრიზისი უსისხლოდ დასრულებულიყო, თავისი მილიარდები შეეტყაპუნებინა, მარტივად რომ ვთქვათ, პენსიაზე წასულიყო და გადაედგა შემხვედრი ნაბიჯები, მაგრამ კადაფიმ ზღვარს გადააბიჯა. უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა. მას შემდეგ, რაც ის საერთაშორისო სამართლის მიხედვით დამნაშავედ იქნა აღიარებული, გადავიდა საკუთარი თავის შანტაჟის გზით გადარჩენაზე, თუმცა იცის, რომ არც ეს უშველის.

იხ. 4 გვ.

◎ განსჯა



**არსებობს თუ არა საქართველოში სოციალური მედია, მოეთხოვება თუ არა ჟურნალისტს სოციალურ ქსელში პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა, რამდენად არის შესაძლებელი ჟურნალისტიკაში მოქალაქეების უფრო აქტიური ჩართვა? — ამ თემებზე სასაუბროდ „ინტერპრესნიუსი“ მედიამკვლევარ ზვიად ქორიძეს დაუკავშირდა.**

# სოციალური ქსელიდან — სოციალურ მედიამდე

**— ჟურნალისტურ წრეებში აქტიურად განიხილება საზოგადოებრივი მაუწყებლიდან ორი ჟურნალისტის დათხოვნის საკითხი. გავრცელებული ინფორმაციით, ამის მიზეზი ჟურნალისტების მიერ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ გაკეთებული კომენტარებია. რამდენად სამართლიანია საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება?**

— მართალი გითხრათ, ამ ისტორიის დეტალებს ახლა ვარკვევ. მხოლოდ ის ვიცი, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ორმა ჟურნალისტმა სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ დადო ორი კომენტარი, რომელიც გამოირჩეოდა ქსენოფობიური, რასისტული და ჰომოფობიური პათოსით. თავად ეს განცხადებები სოციალური ქსელიდან უკვე გამქრალია. სულ რამდენიმე წყაროა, სადაც შენახულია ეს ინფორმაცია, მე კი გავეცანი მათ, მაგრამ ძნელია იმის თქმა, რამდენად ადეკვატურია ის „ფეისბუქზე“ გაკეთებული კომენტარებისა. ძალიან უცნაური ინფორმაცია გავრცელდა: პირველი — გადაცემის წამყვანმა თქვა, რომ მას არ შეეძლო ამ ადამიანებთან მუშაობა. შეიძლება გადაცემის წამყვანს ასეთი ტიპის ეთიკური დილემები ჰქონდეს და თქვას, რომ მე ასეთ ადამიანებთან არ ვიმუშავებ, მაგრამ მას არანაირი სამართლებრივი ბერკეტი არ აქვს ასეთი თანამშრომლების სამსახურიდან გასათავისუფლებლად, ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებრივ მაუწყებელზე, რადგან ჩვენთვის ცნობილია მაუწყებლის მართვის მექანიზმი. მეორე — საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობას არც განუხილავს ეს საკითხი და არ დაუდგენია, რომ ამ ჟურნალისტებმა დაარღვიეს ეთიკური ნორმა, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთიკური სტანდარტები, ან მაუწყებელთა ქცევის კოდექსის რამე მუხლი. მათ მხოლოდ ჟურნალისტების მიერ სამსახურიდან დათხოვნის შესახებ დაწერილი განცხადებები დააკმაყოფილეს. ეს საბჭოთა მექანიზმია, რადგან მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრათ ჟურნალისტებს, უთხრეს, რომ ახლა პრობლემას ნუ შეგვიქმნით, აქედან ნებით წადითო და მათაც, ჩემი ვარაუდით, დაწერეს განცხადება და წავიდნენ. მათ რომ განცხადებები არ დაეწერათ, საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობას ამ საკითხის განხილვა და შესაბამისი დასკვნების გაკეთება მოუწევდა. მათ შეიძლება ჟურნალისტებს უთხრეს კიდეც, ოღონდ თქვენ წადით და შესაბამის ბრძანებაში არ ჩავწერთ, თუ რის გამო მიდიხართ საზოგადოებრივი მაუწყებლიდანო. სწორედ ასეთი მოშანტაჟო, საბჭოური ხერხით გადაწყდა ეს პრობლემა.

**— ამ ფაქტმა ჟურნალისტის სოციალური პასუხისმგებლობის საკითხი ახალი კუთხით დასვა — აქვს თუ არა მას უფლება, სოციალურ ქსელში ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია ღიად გამოხატოს. ამ შემთხვევაში კვეთენ თუ არა ერთმანეთს ჟურნალისტის მოვალეობის და მოქალაქის უფლების ცნებები?**

— 2003 წელს, როცა ერაყის ომის გამო ლონდონში დიდი საპროტესტო აქციები დაიწყო სამხედრო ოპერაციაში დიდი ბრიტანეთის მონაწილეობის გამო, „ბი-ბი-სი“-მ მიმართა ყველა თანამშრომელს და ეთიკის ნორმების დაცვის გათვალისწინებით, მათ, როგორც მოქალაქეებს ამ აქციებში მონაწილეობის მიღება აუკრძალა. შესაძლოა, ძალიან ბევრი ჟურნალისტი ეწინააღმდეგებოდა ბრიტანეთის მთავრობის გადაწყვეტილებას, მაგრამ „ბი-ბი-სი“-მ ურჩია მათ, რომ თავი შეეკავებინათ საკუთარი პოზიციის გამოხატვისგან. ასეთი გადაწყვეტილების მიზეზი ის გახლდათ, რომ ამ ჟურნალისტებს აუცილებლად მოუწევდათ ერაყში მიმდინარე მოვლენების გაშუქება და საზოგადოებას არ უნდა სცოდნოდა მათი პოზიცია ამა თუ იმ საკითხზე. რამდენად მიუკერძოებელი იქნება ჟურნალისტის მიერ მომზადებული სტატია თუ სიუჟეტი, თუ საზოგადოებამ იცის მისი დამოკიდებულება საკითხებისადმი? თავისთავად არ არის ჯანსაღი, როცა ადამიანი არის ქსენოფობი, რასისტი, მაგრამ სახიფათოა, თუ ასეთი ადამიანი არის ჟურნალისტი და საკუთარი მოსაზრებების ტირაჟირებას ახორციელებს სოციალურ ქსელებში. ეს ააშკარავებს, რომ მთელი მისი საქმიანობა ეფუძნება წინააღმდეგობას პროფესიულ სტანდარტებთან და ეთიკურ ნორმებთან. აქ გამიჯვნა იმის მიხედვით არ უნდა მოხდეს, არის თუ არა ჟურნალისტი საზოგადოებრივი მაუწყებლის ან კერძო კომპანიის წარმომადგენელი — მაუწყებელთა ქცევის კოდექსი არის ნორმატიული აქტი და ის ვრცელდება ყველა მაუწყებელზე საქართველოში, მათ შორის კერძო მაუწყებლებზეც.

თუ ხარ რასისტი, ფაშისტი, ჰომოფობი, მაშინ დაანებე თავი ჟურნალისტიკას და საკუთარ მოსაზრებებს, როგორც კერძო პირმა, ისე გაუწიე პროპაგანდა. თუ ჟურნალისტიკა არ ეფუძნება ეთიკურ სტანდარტებს, მაშინ მას ჟურნალისტიკად ვერ განვიხილავთ, მაშინ ის აღარ არის მედია. მედიათეორეტიკოსები ბევრ რამეზე კამათობენ და მსჯელობენ, მაგრამ უკვე ყველა შეთანხმდა იმაზე, რომ თუ ხარ ჟურნალისტი და აკეთებ მასალას, მაშინ შენს განწყობას, რელიგიურ, პოლიტიკურ და სხვა შეხედულებებს ტოვებ შინ. სწორედ ეს არის არსებითი.

იხ. 6 გვ.



◎ ოპოზიცია

# აზიზიეს მეჩეთის მშენებლობა უკმაყოფილებასა და დაპირისპირებას გამოიწვევს

## „თავისუფალი დემოკრატები“ ბათუმის აქციებს ეხმიანებიან

**კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოსა და თურქეთს შორის მიმდინარე მოლაპარაკებები საზოგადოების ვნებათაღელვის საბაბი გახდა. ბათუმი საყოველთაო აქციებმა მოიცვა, თუმცა თემა და მიდგომა საკმაოდ დელიკატურია. დემოკრატიული ამბიციების მქონე ქვეყნისთვის ტოლერანტობა და რელიგიური შემწყნარებლობა ის წამყვანი ნიშია, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს თავისუფლების ხარისხს.**

**ამის მიუხედავად, მოქალაქეები საკუთარ აზრს ხმამაღლა გამოთქვამენ და ერთმნიშვნელოვნად აპროტესტებენ ბათუმში აზიზიეს მეჩეთის აშენებას. როგორც იცით, 18 მარტს აქცია გაიმართა, რომელშიც ყოფილი რესპუბლიკელი მურმან დუმბაძეც მონაწილეობდა. თუმცა თბილისის ცენტრალურმა ორგანიზაციამ სწორედ ამ მიზეზით ის პარტიიდან გარიცხა. აქცია გაიმართა 23 მარტსაც...**

გუშინ ამ საკითხზე „თავისუფალმა დემოკრატებმა“ სპეციალური განცხადება გააკეთეს და ქართულ-თურქული მოლაპარაკებების პროცესის გამჭვირვალობა მოითხოვეს. **„დღეს აუცილებლად მიგვაჩნია საზოგადოების ყურადღება ამ საკითხზე გავამახვილოთ, — აღნიშნა ირაკლი ალასანიამ, — თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული ძეგლები ჩვენი ისტორიისა და კულტურის ნაწილია, ამიტომაც მათი დაცვა-შენარჩუნება აუცილებელია. ამ ძეგლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენ გვაქვს ლეგიტიმური ინტერესი მიმდინარე მოლაპარაკებებისა და მათი შედეგისადმი.**

**იმის მიუხედავად, რომ მიმდინარე მოლაპარაკებები სახელმწიფო უსაფრთხოებას ან სხვა მსგავს საკითხებს არ ეხება, პროცესი მაინც გაუმჭვირვალეა. არსებობს ბევრი კითხვა, რომელზეც საზოგადოებას პასუხი ამ დრომდე არ მიუღია, რაც იწვევს კიდეც სამართლიან ვნებათაღელვას“.**

„თავისუფალი დემოკრატები“ ხელისუფლებისგან მოლაპარაკებების პროცესის საჯაროობას მოითხოვენ: ხელისუფლებამ უნდა განუცხადოს საზოგადოებას, რა ეტაპზეა მოლაპარაკებები, არიან თუ არა მასში ჩართული პროფესიული ჯგუფები, საპატრიარქოს წარმომადგენლები, როგორც ამას კონსტიტუციური შეთანხმება ითვალისწინებს. აგრეთვე მოითხოვენ, რომ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ საჯარო გახადოს უკვე არსებული შეთანხმების პროექტი, რათა საზოგადოებამ შეძლოს საკუთარი აზრის გამოთქმა შეთანხმების პირობებთან დაკავშირებით, სანამ მას ხელი მოეწერება.



**რაც შეეხება ბათუმში აზიზიეს მეჩეთის აშენებას, თავისუფალი დემოკრატების აზრით, ამ საკითხზე ხელისუფლებამ არ უნდა მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც საზოგადოების დაპირისპირებას გამოიწვევს. „აღნიშნული საკითხი სამოქალაქო თანხმობის გზით უნდა მოგვარდეს, რასაც წინ უნდა უძღოდეს რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფის კუთხით ადგილობრივი საჭიროების შეფასება და აჭარაში მცხოვრებ სხვადასხვა აღმსარებლობის პირთა შორის დიალოგი და თანხმობა“, — მიაჩნიათ „თავისუფალ დემოკრატებს“.**

ნია ფიფია

◎ ინფორმაცია

# ერთიანი ქვითრების შემოღებით ადამიანთა უფლებები ირღვევა

**„ქრისტიან-დემოკრატები“ ითხოვენ კომუნალური გადასახადების ერთიანი ქვითრით გადახდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე შეჩერდეს. როგორც პარლამენტში სამთავრობო დებატებზე ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარემ გიორგი ახვლედიანმა განაცხადა, ერთიანი ქვითრების შემოღების შემდეგ თბილისში უკვე დაიწყო სადამსჯელო ღონისძიების და მოსახლეობას დენს სხვა კომუნალური გადასახადების გადაუხდელობის გამო უჭრიან.**

**— ერთიანი ქვითრების შემოღებაში, უპირველესად დამნაშავე უმრავლესობაა, მაგრამ არამგონია ეს გადაწყვეტილება მათ თქვენთან და მთავრობასთან შეუთანხმებლად მიეღოთ. ამიტომ პასუხისმგებლობა თქვენც გეკისრებათ ადამიანის საკონსტიტუციო უფლების დარღევაში, როდესაც ერთი ხელშეკრულების დარღვევის გამო მათ სხვა უფლებებს ართმევთ, — მიმართა ახვლედიანმა ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს ალექსანდრე ხეთაგურს.**

**ამასთან, დეპუტატმა მოითხოვა, მინისტრმა თავის პოზიცია დააფიქსიროს რამდენად სამართლიანად მიიჩნევს ერთიანი ქვითრების შემოღებას და არსებობს თუ არა მსგავსი პრეცედენტი მსოფლიოს რომელიმე ქვეყანაში.**

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ საკონსტიტუციო სასამრთლოს მიერ გადაწვეტილების გამოტანამდე, სადაც ჩვენს მიერ არის გასაჩივრებული ერთიანი ქვითრების შემოღება მისი შეჩერება უნდა მოხდეს?, — დაინტერესდა დეპუტატი.**

**ამასთან, ახვლედიანმა ეჭვი გამოთქვა, რომ ინდივიდუალური გამრიცხველიანების შესახებ მარეგულირებელი კომისიის დადგენილების არარსებობის გამო ეს პროცესი, შესაძლოა, კიდევ 2013 წლის შემდეგაც გაიწელოს.**

ჯი-ეიჩ-ენი

◎ გადახდა უნდა ვალსაო!..

# საქართველოში დეფოლტს არ გამორიცხავენ



**ეკონომისტი ვაჟა ბერიძე საქართველოს დეფოლტის წინაშე აღმოჩენას არ გამორიცხავს.**

**„ბუნებრივია, როცა სახელმწიფოს ასეთი დიდი ვალები აქვს, რაღაც უნდა მოიმოქმედოს, რათა საერთაშორისო არენაზე არ შერცხვეს და დეფოლტის წინაშე არ დადგეს. ამისთვის მთავრობამ გარკვეული ნაბიჯები უნდა გადადგას, თუნდაც არაორდინალური და დამატებითი ვალები აიღოს ან ახალი ევროობლიგაციები გამოუშვას“,** — განუცხადა „პირველს“ ბერიძემ, რომელიც ახალი ვალების აღების წინააღმდეგი არაა, თუმცა თვლის, რომ ხელისუფლებამ ძველი ვალების მიზნობრივი ხარჯვის დეტალური ანგარიში უნდა წარმოადგინოს.

**„ძველი ვალების გადასაფარად ახლის აღების წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ ეს ერთგვარ პირამიდას მაგონებს, რომელიც ქართველ ხალხს აზარალებს. უნდა გვახსოვდეს, რომ ვალები, რომელსაც დღეს მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება იღებს, ქართველი ხალხის და ჩვენი მომავალი თაობის გადასახდელი იქნება. ამიტომ მთავრობა ვალდებულია, სანამ ახალ ვალს აიღებს, უკვე აღებულის მიზნობრივი ხარჯვის დეტალური ანგარიში წარმოადგინოს“,** — აღნიშნა ეკონომისტმა.

ამასთან, ბერიძემ ყურადღება 2008 წელს გამოშვებულ 500 მლნ ევროს მოცულობის ევროობლიგაციებზე გაამახვილა და მთავრობას მოუწოდა, დაასახელოს ყველა ის პროექტი, რომელსაც ეს თანხა მოხმარდა.

**„ევროობლიგაციების ხარჯვაზე ხელისუფლებამ ძალიან ბუნდოვანი განმარტებები გააკეთა. ისინი ამტკიცებენ, რომ ის თანხა ახალი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას მოხმარდა. ეს შეიძლება, სიმართლეს შეესაბამება, მაგრამ იქნებ, სჯობდა, ვალი ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციაში შესვლის შედეგად ექსპორტირებული ელექტროენერგიის მოგებით გადაგვეხადა, მით უმეტეს, რომ ექსპორტი საქართველოში ყოველგვარი გადასახადისგან თავისუფალია“,** — განაცხადა ბერიძემ და ხელისუფლებას აღებული ვალებით დაფინანსებული პროექტების დეტალური პრეზენტაციისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა.

**ცნობისთვის: საქართველო ათწლიანი ევროობლიგაციების გამოცემას გეგმავს. ამის შესახებ პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა.**

**მისივე თქმით, „2013 წლიდან ქვეყნის საგარეო ვალის გადახდის მნიშვნელოვანი პროცესი იწყება და ამ მიზნით საქართველო ახალ ათწლიან ევრობონდებს გამოუშვებს“.**

„პირველი“

ომი არაბულ სამყაროში

# რევოლუციების საფრთხის თვალსაზრისით სამხრეთ კავკასია დანარჩენი მსოფლიოს წინა რიგებშია

(მეორე გვერდიდან)

**— რამდენად მოსალოდნელია რევოლუციური ტალღის არაბული სამყაროდან მსოფლიოს სხვა ქვეყნებზე გადმოსვლა?**

— არაბულ სამყაროში რევოლუციები, ალბათ, გაგრძელდება, განსაკუთრებით აფრიკის კონტინენტზე და სამწუხაროდ, ჩემი პროგნოზით, იქ უფრო მეტად ძალისმიერი იქნება. სად რა შედეგს მივიღებთ, ამაზე საუბარი ნაადრევია. არ არის გამორიცხული, რევოლუციებმა (ოღონდ სხვა ტიპის რევოლუციებმაძ იფეთქოს იმ ქვეყნებშიც, მათ შორის პოსტსაბჭოთა სივრცეშიც, სადაც არსებობს ნახევრადდემოკრატიული ან ნახევრადდიქტატორული მმართველობები. არაბულ სამყაროში მიმდინარე პროცესები ამ ტიპის რევოლუციებისთვის არ იქნება პირდაპირი ბიძგი, მაგრამ ეს საზოგადოებაში მოტივაციის ამაღლების საფუძველი შეიძლება გახდეს, რადგან სწორედ არაბულ ქვეყნებში დაწყებულ რევოლუციებს მოჰყვა დასავლეთის დიდი გამოხმაურება და იმ ახალი მესიჯის გახმოვანება, რომლის მიხედვითაც, საჭიროა ახალი მიდგომის შემუშავება და მხარდაჭერის გამოცხადება არა არადემოკრატიული და დიქტატორული რეჟიმებისთვის, არამედ სამოქალაქო საზოგადოებისთვის. პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში არსებული ზოგადი ფონის გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ სამხრეთ კავკასია ყველაზე წინა რიგებშია იმ თვალსაზრისით, სადაც რევოლუციების გადმოდინების საფრთხე არსებობს, თუმცა კავკასია არაბულ სამყაროზე ცოტა მაღალ ეტაპზეა და აქაური საზოგადოების მენტალიტეტის, ტრადიციების, გამოცდილებისა და ისტორიების გათვალისწინებით, იმედი მაქვს, აქ აჯანყებები არ იქნება ისეთი სისხლიანი, როგორიც არაბულ სამყაროშია.

**— სააკაშვილის „მუბარაქიზაციის“ საფრთხე არსებობს?**

— სააკაშვილი ჯერჯერობით ვერ გახდება მუბარაქი, მაგრამ პოტენციალი აქვს. მუბარაქი ათწლეულები მართავდა ეგვიპტეს და გამოკვეთილი დიქტატორი იყო. ვფიქრობ, სააკაშვილსაც აქვს სურვილი დიდი ხნის განმავლობაში მართავდეს ქვეყანას და ეს სურვილი ვერ დამალა, როცა სინგაპურიზაციაზე დაიწყო საუბარი, მაგრამ ცდილობს ეს ყველაფერი „დემოკრატიულ ფონზე“ გააკეთოს. სწორედ ამიტომაა, რომ ჩვენი პრეზიდენტი საკმაოდ სერიოზულ თანხებს ხარჯავს ლობისტურ ჯგუფებზე, ასევე დასავლეთში მოგზაურობაზე, სადაც ცდილობს თავი წარმოაჩინოს როგორც დემოკრატმა, დემოკრატიისთვის მებრძოლმა.

რაც შეეხება იმას, შეიძლება თუ არა საქართველოში მორიგი რევოლუცია მოხდეს, გასათვალისწინებელია ორი: ბუნებრივი და ხელოვნური ფაქტორები. ბუნებრივი ფაქტორია ის, რომ საზოგადოებაში პროტესტი მატულობს. ის მოლოდინები, რომლებიც ხელისუფლებამ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გააჩინა, ნელ-ნელა ქრება და ამ ყველაფერს ემატება სოციალური უსამართლობა – გაჭირვება, ფასების მატება, ანუ იზრდება ყველა ის ფაქტორი, რომელიც რევოლუციურ მუხტს კიდევ უფრო გააძლიერებს. ჩვენმა საზოგადოებამ და ოპოზიციურმა პოლიტიკურმა ძალებმა თითქმის ყველა საშუალება გამოიყენეს იმისთვის, რომ ხელისუფლებაში ქვეყნის დემოკრატიულად მართვის სენსორები გაღვივებულიყო. იყო მცდელობა, რომ საპროტესტო მოძრაობით მივსულიყავით ვადამდელ არჩევნებამდე, იყო მედიის გათავისუფლების მოთხოვნა, დამოუკიდებელი სასამართლოს მოთხოვნა, მაგრამ არსებული ვითარება გვიჩვენებს, რომ აშკარად მივდივართ დიქტატურისკენ. ამის ნათელი მაგალითი ისაა, რომ 100 %-იანი ძალაუფლება უპყრია ხელთ ნაციონალურ მოძრაობას. ხელისუფლება აკონტროლებს ყველა ძირითად ბიზნესსექტორს, რომელსაც აკრძალული აქვს ოპოზიციური ძალების მხარდაჭერა. ძირითადი მედიასაშუალებები არიან არა თავისუფალი მედიის წარმომადგენლები, არამედ ხელისუფლების პიარკამპანიების გამშუქებლები. ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ მიხეილ სააკაშვილმა უხეშად დაარღვია კონსტიტუცია, როცა 2008 წლის 5 იანვარს არჩეულმა პრეზიდენტმა შემდეგი არჩევნები არა 5 წლის, არამედ 5 წლისა და 10 თვის შემდეგ დანიშნა. ქვეყანაში დემოკრატიის არარსებობის დასამტკიცებლად მხოლოდ ამ ფაქტის მოყვანაც კი საკმარისია.



**— თქვენი კოლეგების შეფასებით, ოპოზიცია სუსტია და მის მიერ ახალი რევოლუციის მოწყობის მორიგი მცდელობაც ისევე უშედეგოდ დასრულდება, როგორც ეს წინა შემთხვევებში მოხდა. თქვენი შეფასება როგორია?**

— ოპოზიცია სუსტია ძლიერის ფონზე. რევოლუციის გზით მოსულმა ხელისუფლებამ „კარგად“ გამოიყენა საკუთარი ძალაუფლება და ძალიან მოკლე დროში საკუთარი პოზიციების მაქსიმალურად გამყარება შესძლო. სწორედ ამიტომაა, რომ ქვეყანაში პოლიციური რეჟიმი გვაქვს, პოლიცია და ძალოვანი უწყებები პოლიტიზებული არიან და ისინი ოპოზიციური ძალების დისკრედიტაციის, შანტაჟისა და ტერორის იარაღს წარმოადგენენ. სუსტად გამოჩნდა ოპოზიცია სწორედ იმიტომ, რომ მან ვერ შესძლო ხელისუფლება რაიმე დათმობაზე წაეყვანა. საზოგადოების ნიჰილიზმი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის უშედეგობისა და შესაბამისად, ოპოზიციური ძალების მიმართ სწორედ ხელისუფლების პრინციპულმა და მკაცრმა, რადიკალურმა მიდგომამ განაპირობა იმის თაობაზე, რომ „არაფერს შეცვლის“. ყველას სურს, რომელიმე ოპოზიციურმა ძალამ რაიმე გამარჯვების დემონსტრირება მოახდინოს, რაც მას ლიდერად ჩამოაყალიბებს. თავისთავად ლიდერის არარსებობა გამოწვეულია იმით, რომ ყველა შემთხვევაში ოპოზიცია მარცხდებოდა, რიგ შემთხვევაში არასწორი მოქმედებით, რიგ შემთხვევაში დაქსაქსულობით, რიგ შემთხვევაში გაუბედაობით, თუმცა ვფიქრობ, რომ ამ გაუბედაობასაც თავისი მიზეზი აქვს, რადგან როცა თავგანწირვას იჩენ, იქ, რა თქმა უნდა, ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლესთან დაკავშირებით გარკვეული რისკები ჩნდება. ამასთან, როცა ოპოზიციის სისუსტესა და ხელისუფლების არადემოკრატიულობაზე ვლაპარაკობთ, კრიტიკით უნდა შევხედოთ საზოგადოებასაც, ვინაიდან, სწორედ ხალხში არ არის საკმარისი კულტურა იმისთვის, რომ იყოს ერთიანობა, ერთიანი ბრძოლა და არადემოკრატიული რეჟიმის მიმართ მეტი გამბედაობა.

**— ხალხს რაში ადანაშაულებთ?**

— არ არის საკმარისი შენი პროტესტი მხოლოდ ერთ დღეს, ორი საათით გამოხატო.

**— სამი თვეც მდგარა ხალხი ქუჩაში, მაგრამ მაინც უშედეგოდ...**

— ქვეყანაში, სადაც ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის გამო ძალიან ბევრი არასასურველი მოვლენა მოხდა, არ არის საკმარისი ქუჩაში მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილის გამოსვლა, თან როცა ეს გამოსვლები უფრო მეტად ორგანიზებულობის დამსახურებაა, ვიდრე იმის პასუხისმგებლობის გააზრება, რომ იქ უნდა იდგე. გაიხსენეთ, რა მოხდა საბერძნეთში: ერთი ახალგაზრდა ტრაგიკული შემთხვევის მსხვერპლი გახდა, მას ბრმა ტყვია მოხვდა და ეს მიზეზი საკმარისი იყო იმისთვის, რომ მთელი საბერძნეთი ფეხზე დამდგარიყო. ჩვენთან ძალიან ბევრი უბედურება მოხდა და ხდება. არ მინდა ვინმეს მტკივნეულ ადგილზე დავადგა ფეხი, მაგრამ დღეს რომ ცხინვალის რეგიონი ოკუპირებულია, გარკვეულწილად, ჩვენი ხელისუფლების ბრალია. გარდა ამისა, მოქალაქეები მუდმივი ტერორის ქვეშ არიან, ციხეები გამოტენილია უსამართლო პატიმრებით. ალბათ, ადამიანების ციხეებში გამოკეტვით ან ასიათასობით მოქალაქისთვის პირობითი სასჯელის დაწესებით, ხელისუფლება საპროტესტო მუხტის შეკავებას და ხალხის კონტროლის ქვეშ მოქცევას ცდილობს, რაც ვერ მიგვიყვანს ნორმალურ ცხოვრებამდე.

**— ამ სეზონზე საქართველოში ორი რევოლუცია დაანონსდა, ერთი „ქართულ პარტიის“, მეორე „სახალხო კრების“ მიერ. როგორ წარმოგიდგენიათ ერთ ქალაქში, ერთ მოედანზე, ორი დაპირისპირებული ძალის მიერ ორგანიზებული ერთდროულად ორი რევოლუცია?**

— მართლაც არაორდინარული სიტუაციაა. რაც შეეხება რევოლუციის მოსალოდნელ შედეგებს, ისევ ვიმეორებ, ეს ხალხზეა დამოკიდებული – რამდენად ირწმუნებს და ისურვებს ის, რომ შეცვალოს ხელისუფლება, გამოვიდეს ქუჩაში, რამდენად იქნება თავგანწირვისთვის მზად, რაშიც, არავითარ შემთხვევაში არ ვგულისხმობ ძალისმიერ მოქმედებას და მხოლოდ სამოქალაქო თავგანწირვა მაქვს მხედველობაში – როცა ადამიანები პროტესტს გამოხატავენ და ამ პროტესტს იცავენ პრინციპულად. როგორ შეიძლება ორი დაანონსებული რევოლუციის ორგანიზატორებმა ერთმანეთში საერთო გამონახონ და პროცესი ეფექტურად წარმართონ? ეს დამოკიდებული იქნება მათ გონიერებაზე, იმაზე, რამდენად შეძლებენ ისინი საკუთარი ამბიციების, პიროვნური დაპირისპირებების გვერდზე გადადებას და სახელმწიფო ინტერესების წინ დაყენებას.

**— ანუ გაჩეჩილაძე-ბურჯანაძე ერთად უნდა დადგნენ?**

— ისინი ერთად დადგებიან, თუ ერთმანეთს ზურგს შეაქცევენ, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, ისინი სახელმწიფო ინტერესებისთვის რამდენად იმოქმედებენ.

**— და ბოლოს, ბატონო ირაკლი, ავტოკრატიული, თუნდაც ჰიბრიდული რეჟიმები თავიანთ თავში უკვე გულისხმობენ რევოლუციის გარდაუვალობას?**

— არაბულ სამყაროში მომხდარმა რევოლუციებმა ახალი ბიძგი მისცა ქვეყნის მმართველობების მიმართ მსოფლიოს მსოფლმხედველობას. დასავლეთი მივიდა იმ აზრამდე, რომ რომელიმე ქვეყანასთან სტრატეგიული პარტნიორობა შეიძლება სტაბილური, მიზანშეწონილი და მისაღები იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის ხელისუფლებას ქვეყანაში რეალურად აქვს შექმნილი საზოგადოებისთვის მისაღები გარემო. ეს შეიძლება არ იყოს ისეთი ხარისხის დემოკრატია, როგორიც საფრანგეთში, გერმანიასა და აშშ-შია, მაგრამ აუცილებლად უნდა ემყარებოდეს მინიმალურ სტანდარტებს, რაც იმას გულისხმობს, რომ ძალაუფლება უნდა იყოს გადანაწილებული.

**ესაუბრა**
**ლელა ბაღდავაძე**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

# ოპერატიული გამოხმაურება

**აკადემიური საბჭოს ბოლო, 18 მარტის სხდომამ, რომელსაც აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე უძღვებოდა, ორი მოხსენება მოისმინა: „იაპონიის წლევანდელი 11 მარტის დამანგრეველი მიწისძვრა და საქართველოს ტერიტორიის სეისმური უსაფრთხოების პრობლემა“ (მომხსენებლები აკადემიის წევრები თამაზ ჭელიძე და გურამ გაბრიჩიძე); „იაპონიის ატომურ ელექტროსადგურ „ფუკუშიმა-1“-ზე ავარიული მდგომარეობისა და ფიზიკის ინსტიტუტის კვლევითი ბირთვული რეაქტორის შესახებ“ (მომხსენებელი აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე).**

თამაზ ჭელიძემ აღნიშნა, რომ ბოლო ხანებში მომხდარმა სუმატრის, ჰაიტის, ჩილესა და იაპონიის მიწისძვრებმა კვლავ ყურადღების ცენტრში დააყენა სეისმური რისკის შემცირების პრობლემა.

საქართველო მდებარეობს ახალგაზრდა ალპურ ტექტონიკურ სარტყელში და ეს განაპირობებს ძლიერი მიწისძვრების მოხდენას ჩვენი ტერიტორიის უმეტეს ნაწილში. ამის დასტურია თუნდაც 1991 წლის რაჭის მიწისძვრა, რასაც დიდი მსხვერპლი და გვარიანი ეკონომიკური ზარალი მოჰყვა, აგრეთვე 2002 წლის თბილისის მიწისძვრა. საქართველოში ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული ზარალის 75-80 პროცენტი მიწისძვრებზე მოდის. ქვეყანაში სეისმური რისკის შემცირებას ორი ძირითადი მიმართულებით სჭირდება აქტიური ღონისძიებების გატარება: სეისმური საშიშროებისა და რისკის შეფასება – ერთი და სეისმომედეგი მშენებლობის უზრუნველყოფა – მეორე.

სწორედ მეორე მიმართულებაზე გაამახვილა ყურადღება გურამ გაბრიჩიძემ, რომელმაც წარმოადგინა საქართველოს სამშენებლო დარგის ტექნიკურ-ნორმატიული ბაზის ფორმირებისა და ქვეყნის სეისმური უსაფრთხოების კონცეფციის ერთობ საყურადღებო პროექტი.

ჯუმბერ ლომინაძემ დაწვრილებით მიმოიხილა იაპონიაში შექმნილი „ბირთვული“ ვითარება და ილაპარაკა დაკონსერვებული მცხეთის რეაქტორის შესახებ; მანვე გაიხსენა ატომურ ელექტროსადგურებთან დაკავშირებული რამდენიმე კატასტროფის ისტორია.

აკადემიურმა საბჭომ დადგენილებაში საქართველოში სეისმური რისკის შემცირების პრობლემა სამეცნიერო კვლევების პრიორიტეტულ მიმართულებად ჩათვალა; ამის თაობაზე ეცნობება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ეროვნულ სამეცნიერო ფონდს სათანადო რეაგირებისათვის.

ეროვნული აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილებასა და გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილებას დაევალა: ერთი თვის განმავლობაში მოამზადონ საქართველოს ტერიტორიის სეისმური უსაფრთხოების კონცეფცია და წინადადებები სამეცნიერო კვლევების წარმართვისა და კოორდინაციისათვის საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებებისა და შესაძლო საბიუჯეტო დაფინანსების შესახებ.

აკადემიის პრეზიდენტის წინადადებით, დადგენილებას დაემატა პუნქტი შესაბამისი სპეციალისტებისგან შემდგარი ისეთი კომისიის შექმნის თაობაზე (რასაკვირველია, ეროვნული აკადემიის ფარგლებშიძ, რომლის ფუნქცია იქნება საგანგებო სიტუაციებზე ოპერატიული რეაგირება.

გლობუსი

# „დოქტორ“ სააკაშვილის ვნებანი

**გასულ კვირას ფრიად სასიხარულო რამ შეიტყო საქართველოს მოსახლეობამ, საყვარელი პრეზიდენტის დოქტორობა. ამერიკაში მყოფმა სააკაშვილმა ერთობ მოკრძალებულად, მისთვის ჩვეული უბრალოებით აუწყა დამსწრე საზოგადოებას და საქართველოს, საკუთარი დოქტორობის შესახებ, თანაც როდის, ყრმობაში, აშშ-ში „სწავლის“ დროს, როდესაც ველოსიპედით დადიოდა. 16 წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ პატივცემულ მიხეილს სიტყვაც არ დაცდენია მეცნიერებაში ყოფნის შესახებ. ამას გვიმალავდა? რევოლუციის შუქურის ტიტულის მფლობელს, ტრამპის მიერ თავბრუდამხვევი ქების ოლიმპიზე აყვანილს, ერთი ახალიც — დოქტორის ტიტულიც დაემატა. არ არის გამორიცხული ამერიკაში მორიგი ვიზიტის დროს აკადემიკოსობასაც გამოჰკრას ხელი.**

დოქტორ სააკაშვილის (არადა როგორ არ ეხამება ერთმანეთს გვარი და სამეცნიერო წოდება), მრავალწახნაგოვან გამოსვლაში სხვა მარგალიტებიც უხვად იყო — თუნდაც ასეთი ნაციონალების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ რომ მოხდა აჭარის დაბრუნება. საინტერესოა, რას გულისხმობდა „ღრმადგანსწავლული“ მეცნიერი? თურქეთიდან დაბრუნებას? მაგრამ ამას ხომ მეფის რუსეთის დროს ჰქონდა ადგილი, რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ? ალბათ თავისი ნებით შეჰყო აჭარამ თავი ოსმალთა უღელში, თორემ თურქეთის მხრიდან საქართველოს მიმართ ისტორიული ძალადობა რა მოსატანია. დოქტორ სააკაშვილის განცხადებით თურქეთი საქართველოს ისტორიული ძმა და მეგობარია — ასე მითხრაო დედაჩემმა — გვაუწყა ერთხელ ტელეეკრანიდან მან. ის, რომ „იშვიათად“, სამხრეთელი მეზობელი თავს გვესხმოდა და გვაწიოკებდა, თანაც მიწებსაც გვტაცებდა ვაი ისტორიკოსების მონაჭორია. ასე მიიჩნევს პატივცემული პრეზიდენტი.

მაგრამ მეცნიერ სააკაშვილს სხვა „დაბრუნება“ ჰქონდა მხედველობაში — ასლან აბაშიძისგან. ამ თვალსაზრისით სააკაშვილი მარტო არ არის. მას გვერდს უმშვენებს ერთ დროს მასთან ალიანსში, ამჟამად ოპოზიციაში მყოფი „პოლიტიკოსებიც“. „ერთადერთი დადებითი, რაც სააკაშვილის მმართველობის დროს მოხდა, აჭარის დაბრუნებააო“. — ამბობენ ისინი. **იყო თუ არა აბაშიძის დროს აჭარა საქართველოდან გამოყოფილი ან აბაშიძის მმართველობა სეპარატული, ხანგრძლივი კამათის თემაა და სიღრმისეულ განხილვას საჭიროებს, მაგრამ რაც ზედაპირზეა გონების დაძაბვის გარეშე საწინააღმდეგოზე მიუთითებს — მაგალითად: გონებაგადასული ცენტრის სურვილების საწინააღმდეგოდ მედგარ დგომას, რითაც გადარჩა ეს დალოცვილი მხარე ისეთი აოხრებიდან, რასაც ადგილი ჰქონდა აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთში. არც ის არის დასავიწყებელი ძნელბედობის ჟამს თბილისელი კულტურის, ხელოვნების, განათლების მუშაკები რომ მშვიდ, დაპურებულ სავანეს პოულობდნენ იმჟამინდელ „განდეგილ“ აჭარაში. უნებლიედ იბადება კითხვა — რატომ ისწრაფოდა საქართველოდან გამოყოფის მსურველი აბაშიძე, საქართველოს პარლამენტში, აჭარის დეპუტაციის დიდი რაოდენობით შეყვანა? ან რატომ თვლიდა პირად შეურაცხყოფად ბუკლეტებში აჭარის ცალკე მოხსენებას ან „აჭარული ენის“ ჩაწერას?**

**რაც მართალია, მას ფრთხილი მიდგომა ჰქონდა სამხრეთელი მეზობლისადმი. მეეჭვება აბაშიძის მმართველობისას თურქეთს ისე ლაღად გაეშალა ფრთები აჭარაში, როგორც დღეს. ინვესტიცია საჭირო და აუცილებელიცაა, მაგრამ გონივრულ საზღვრებში, საკუთარი ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით, რასაც სამწუხაროდ ნაკლებად აქვს ადგილი.**

სხვაც ბევრი იყო დოქტორის გამოსვლაში „საინტერესო“, განსაკუთრებით რუსეთთან მიმართებაში. ეს თემა ზედმიწევნით კარგად აქვს დამუშავებული მეცნიერს. ღამეც რომ გააღვიძონ სხაპასხუპით დაიწყებს მტარვალი მეზობლის აგრესიულ ზრახვებზე ლაპარაკს, განსაკუთრებულ აქცენტს გააკეთებს პრემიერ პუტინზე, შერბილებულს — პრეზიდენტ მედვედევზე. როგორც ჩანს ასეა საჭირო. ამერიკელი დამრიგებლები ამას მოითხოვენ მისგან. მათ აფიქრებთ რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნები და მასში პუტინის მონაწილეობა.

ოფიციალური ამერიკის პუტინისადმი დამოკიდებულება არცთუ სახარბიელოა ამ უკანასკნელისთვის, ყოველ შემთხვევაში ასეთ სურათს ხატავს რუსული პრესა. რუსეთის მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შემყურეს უმალ თვალში მოხვდება პრემიერ-მინისტრზე სისტემატური თავდასხმები, როგორც ლიბერალი პოლიტიკოსების, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. „ნეზავისიმაია გაზეტა“, რომელმაც ნეიტრალიტეტს აგრესიული ლიბერალიზმი ამჯობინა, აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის მოსკოვში ჩასვლის წინა დღეს პირველ გვერდზე გამოაქვეყნა ბაიდენის ვიზიტის „მთავარი მიზანი“ — მედვედევისთვის საპრეზიდენტო არჩევნებში უცილობელი მხარდაჭერა. გაზეთი „დუმელი“ დეპუტატის ნათქვამზე დაყრდნობით, იმასაც წერდა, რომ მოსკოვში ბაიდენი განიხილავდა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პუტინის შრომითმოწყობის საკითხსაც. სტატიაში მითითებული იყო, რომ ვაშინგტონს თურმე 2007 წელს გაუკეთებია აქცენტი მედვედევზე და უარი უთქვია პუტინის პროტეჟე სერგეი ივანოვზე. ძნელია იმაზე მარჩიელობა რა ჩასჩურჩულა ბაიდენმა მედვედევს ყურში და უთხრა თუ არა მას — ჩვენ შენთან ვართო, მაგრამ გაზეთი, რომ ცდილობს ამის სპეკულირებას, უეჭველია. სტატიის მიზანი ისაა, დაარწმუნოს მკითხველი პუტინის პოლიტიკიდან წასვლის რეალობაში.

დოქტორი სააკაშვილი ამ შემთხვევაშიც მოწოდების სიმაღლეზეა, ანუ ისე იქცევა, როგორც მის ამერიკელ დამრიგებლებს სურთ. თავისი გამოსვლის დროს მან გაიხსენა პუტინთან საუბარი, მაშინდელი პრეზიდენტის მუქარა ჩრდილო კავკასიელების „ტარაკნებივით“ გასრესის თაობაზე. მოწმეებიც მყავსო თქვა მან. საკუთარი თავისთვის დოქტორობის მიმნიჭებელს გაუჭირდება პუტინთან საუბრის თემის შეთხზვა?

პუტინ-ვაშინგტონის ურთიერთობა განსაკუთრებით დაიძაბა მიუნჰენის გამოსვლის შემდეგ. მაშინ უკმაყოფილო პუტინმა, მისთვის ჩვეული პირდაპირობით ამხილა ბუშის ადმინისტრაციის ნეოკოლონიური პოლიტიკა, რამაც არა მარტო აშშ განაწყო მის წინააღმდეგ, არამედ ევროპაც. არადა ის, რაც მან თქვა სრულ ჭეშმარიტებას ასახავდა. რა გაეწყობა, დასავლეთს არ უყვარს, როდესაც აძაგებენ. მძაგებლის წინააღმდეგ უმალ ამოქმედებს ნაცად პროპაგანდისტულ მანქანას. ასე იყო სადამ ჰუსეინთან მიმართებაში, ასეა დღეს კადაფის წინააღმდეგ ამუშავებულ პოლიტიკაში. აშშ და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები საბაბად ადამიანის უფლებათა დარღვევას და დემოკრატიული პრინციპების შებღალვას იშველიებენ. ლიბიის მშვიდობიანი მოსახლეობა უნდა დავიცვათო — ასე აცხადებენ ისინი ცხადია კადაფის აგრესიისგან, მაგრამ თვით გამოდიან აგრესორები. მარტო 19 მარტს განხორციელებული საჰაერო თავდასხმის დროს ამერიკელებმა, ინგლისელებმა და ფრანგებმა 64 მშვიდობიანი ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს, მათ შორის ქალების, მოხუცების, ბავშვების. სი-ენ-ენის კორესპონდენტის კითხვაზე — შეტევას, რატომ მოჰყვა ამ რაოდენობის მსხვერპლი, ამერიკელმა ექსპერტმა უკმეხად მიუგო. ეს ინფორმაცია ლიბიის ხელისუფლებას ეკუთვნის და მას არაფერი დაეჯერებაო.

დასავლეთი არ ღალატობს იმ პოლიტიკას, რაც მის ხასიათშია გამყარებული. მიუხედავად პუტინის მაშინდელი კრიტიკისა, ის აგრძელებს თავის საქმეს, თანაც უცხოელ კრიტიკოსებს სერიოზულ პრობლემებს უქმნის. მაგალითად პუტინის წინააღმდეგ აგორებული კამპანიაც კმარა. ვაშინგტონის დირიჟორობით და რუსი ე. წ. ლიბერალების ძალისხმევით რუსულ მედიაში ერთი ჭიაკოკონაა ატეხილი. ლიბერალები ყოველ ღონეს ხმარობენ მედვედევ-პუტინის ერთმანეთის წინააღმდეგ ასამხედრებლად, აუგად მოიხსენიებენ პუტინის პრეზიდენტობის წლებს, თითქოს პუტინის დროს ცუდის მეტი არაფერი გაკეთებულა, არადა ოფიციალური მონაცემები სულ სხვას ღაღადებენ.

**ელცინის დამანგრეველი პოლიტიკის პუტინისეული პრაგმატიზმით შეცვლა რომ არ მომხდარიყო, რუსეთი ვერ გაართმევდა თავს მის წინაშე არსებულ გამოწვევებს. თვალი შევავლოთ მარტივ სტატისტიკას. თუ 1999 წელს საშუალო ხელფასი 62 დოლარს შეადგენდა, 2011 წლისათვის მან 755-ს მიაღწია. 1999 წლის პენსია — 18 დოლარი, 2010 წლისათვის 285 დოლარამდე გაიზარდა. 2000 წლიდან დღემდე რუსეთის მოსახლეობის რეალური შემოსავლები 2.6-ჯერ გადიდდა, ხელფასები 3-ჯერ, პენსიები 3.5-ჯერ. უმუშევრობა 2000 წლის 12.4 პროცენტიდან 2010 წლის 72 პროცენტამდე შემცირდა. თუ 1999 წელს რუსეთის მოქალაქეთა ფულადი დანაზოგი 40 მილიარდ დოლარს არ აღემატებოდა, 2010 წელს მან 470 მილიარდს მიაღწია. 1999 წელს რუსეთის საგარეო ვალი (სახელმწიფო) 138 მილიარდი დოლარი იყო, 2010 წელს მან 40.7 მილიარდი შეადგინა ანუ 3-4-ჯერ შემცირდა.**

საქართველოს ხელისუფლება სისტემატურად აძაგებს რუსეთს და ამხელს მის „უნიათო“ ეკონომიკურ-სოციალურ პოლიტიკას, მაგრამ ამ მონაცემების შემყურეს არ უნდა ჰქონდეს ამის საფუძველი. **თავისი გამოსვლის დროს რეფორმატორად წოდებულმა სააკაშვილმა რა არ განიხილა გულუბრყვილო, საქმეში ჩაუხედავი ამერიკელების წინაშე, რომელთა დიდ ნაწილს დღემდე ვერ გაუგია, რა კავშირი აქვს „ჯორჯიასთან“ სააკაშვილს. ან სად არის ის „ჯორჯია“, რომელსაც ამერიკელთა მეგობარი, დემოკრატი, დოქტორი სააკაშვილი უდგას სათავეში. დარბაზში ტევა არ იყოო — ასე გაგვახარა სააკავიზიებმა. ის, რომ ვიწრო დერეფანი დარბაზად მოინათლა, სულაც არ გამკვირვებია — სააკაშვილის „დოქტორობის“ შემხედვარეს.**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

ინფორმაცია

## საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტს ლამერსის შუამდგომლობით გადაწყვეტენ

**ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი კარლ ლამერსი მოსკოვთან დიალოგის დაწყების პროცესში თბილისს დახმარებას ჰპირდება.**

— კონფლიქტი უნდა გადაწყდეს მშვიდობიანი გზით. ვერანაირ მიზეზს ვერ ვხედავ, რომ ამ პროცესში საქართველოს არ დავეხმაროთ, — განაცხადა ლამერსმა სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ სადაც ნატოს საპარლამენტო ასამბლეის როუზ-როსის 76-ე სემინარი იმართება.

მისივე განმარტებით, კონფლიქტის გადაწყვეტა მარტივი პროცესი არასდროს არის, თუმცა აღნიშნულის მიღწევა მაინც შესაძლებელია.

— დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის დიალოგი შედგება. ყველამ ვიცით, რომ კონფლიქტი ვერ გადაწყდება მარტივად, ამისთვის გვჭირდება მოთმინება. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ერთად მოვახერხებთ ამის მიღწევას, — აღნიშნა კარლ ლამერსმა.

## ღონღაძის მკვლელობაში კუჩმა თავს დამნაშავედ არ გრძნობს

**უკრაინის ექს-პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ განაცხადა, რომ მას არავითარი განკარგულება უკრაინის შს სამინისტროსათვის ჟურნალისტ გიორგი ღონღაძესთან მიმართებაში არ მიუცია.**

— არავითარი განკარგულება შს სამინისტროსათვის „უკრაინსკაია პრავდას“ დამფუძნებელ ჟურნალისტთან გიორგი ღონღაძესთან მიმართებაში არ მიმიცია, — განაცხადა კუჩმამ უკრაინის გენპროკურატურასთან, სადაც ჩვენებების მისაცემადაა დაბარებული. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს.

შეგახსენებთ, რომ ლეონიდ კუჩმას უკრაინის გენპროკურატურამ უკვე ჩამოართვა გაუსვლელობის ხელწერილი, თუმცა ოფიციალური ბრალდება ექს-პრეზიდენტისათვის ჯერ ჯერობით წამოყენებული არ არის.

აღსანიშნავია, რომ ლეონიდ კუჩმა ეჭვმიტანილია უკრაინის შს სამინისტროსათვის უკანონო განკარგულებების მიცემაში, რამაც გიორგი ღონღაძის მკვლელობა გამოიწვია.

## ჰოპკინსის უნივერსიტეტის თანამშრომლებს საქმე გამოელიათ!

აშშ-ის ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის თანამშრომლებმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კაფეებში, ბარებსა და რესტორნებში სიგარეტის კვამლის დონე შეისწავლეს.

უნივერსიტეტის თანამშრომლებს სურდათ გაერკვიათ, თუ რა ზიანს განიცდიან ოფიციანტები სიგარეტის კვამლით საკუთარ სამუშაო ადგილებზე. მეცნიერებმა სულ 22 ქვეყნის მონაცემები შეისწავლეს, რისთვისაც ოფიციანტების თმის ღერები გამოიკვლიეს.

კვამლის სიხშირით პირველ ადგილზე აღმოჩნდნენ სომხეთი, თურქეთი, ბანგლადეში, საქართველო, ყირგიზეთი, რუსეთი. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა აშშ-ში, ინდონეზიაში, მექსიკაში, გვატემალაში, ფილიპინებზე, ჩინეთში, ნიგერიაში, პოლონეთში, განასა და პერუში.

ტაილანდის, ინდოეთის, ვიეტნამის, ურუგვაისა და არგენტინის ბარებში სუფთა ჰაერი აღმოჩნდა. შესაბამისად, ამ ბარების კვლევის შედეგები საუკეთესოა.

აღმოჩენით დადასტურდა, რომ ოფიციანტებს, რომლებიც არ ეწევიან, ორგანიზმში იმდენივე მავნე ნივთიერება აქვთ, რამდენიც იმ ადამიანს, რომელიც ყოველდღიურად თუნდაც ერთ ღერ სიგარეტს ეწევა.

ᲮᲘ-ᲔᲘᲕ-ᲔᲜ

სერვისი

# აღსრულების ეროვნული ბიურო მომხმარებლებს არაერთ სიახლეს სთავაზობს

**გვესაუბრება აღსრულების ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელი ნიკა მელია**



**— რა სიახლეებს სთავაზობს აღსრულების ეროვნული ბიურო მომხმარებელს?**

— აღსრულების ეროვნული ბიურო მომხმარებლებს უახლოეს დღეებში კიდევ ერთ ახალ ელექტრონულ სერვისს შესთავაზებს. მოქალაქეები, რომლებიც აღსრულების ეროვნულ ბიუროს განცხადებით მიმართავენ, პასუხს ელექტრონულად, სახლიდან გაუსვლელად მიიღებენ. ახალი სერვისი აღსრულების ეროვნული ბიუროს ვებ-გვერდზე განთავსდება. განცხადების შემომტანი პირები აღსრულების ეროვნული ბიუროს კანცელარიაში განცხადების შეტანისთანავე 15-ციფრიან პინ-კოდს მიიღებენ. განცხადებაზე პასუხის მისაღებად განმცხადებელმა მიღებული კოდი აღსრულების ეროვნული ბიუროს კანცელარიის პროგრამაში უნდა შეიყვანოს. ამის შემდეგ იგი ონ-ლაინ რეჟიმში მიიღებს პასუხს, რომელსაც იურიდიული ძალა ექნება. ახალი სერვისი მოქალაქეებს აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან ურთიერთობას გაცილებით გაუმარტივებს, მათ დროსა და ენერგიას დაზოგავს. ამასთან, მოქალაქეს დარჩება შესაძლებლობა, განცხადების მიღების სასურველი ფორმა აირჩიოს და ელექტრონული ფორმის ნაცვლად, განცხადებაზე პასუხი ფოსტის ან აღსრულების ეროვნულ ბიუროში მოსვლის გზით მიიღოს.

**— რამდენადაც ვიცი, ახლახან სხვა ახალი სერვისებიც დანერგეთ...**

— დიახ, აღსრულების ეროვნული ბიუროს ბაზაზე ფუნქციონირებს სხვა ელექტრონული სერვისებიც, რომლებიც მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს, აღსრულების ეროვნული ბიუროს ვებგვერდზე განთავსებული რეესტრების საშუალებით მისთვის სასურველი ინფორმაცია სწრაფად და მარტივად მიიღოს; სააღსრულებო საქმის მსვლელობას გაეცნოს და გაიგოს, რა ეტაპზეა მისი სააღსრულებო საქმისწარმოება; ელექტრონულად ჩაერთოს და მონაწილეობა მიიღოს აუქციონის პროცესში; სახლიდან გაუსვლელად შეიძინოს და მიიღოს თავისთვის სასურველი ნივთები საქართველოს ნებისმიერ წერტილში; მიიღოს ინფორმაცია აღსრულების ეროვნული ბიუროს მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებულ პირთა თაობაზე.

**— რას წარმოადგენს მოვალეთა რეესტრი?**

— მოვალეთა რეესტრი მონაცემთა ერთიანი ბაზაა, რომელიც აღსრულების ეროვნული ბიუროს ბაზაზე 2010 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა. მასში ყველა ის ფიზიკური და იურიდიული პირია რეგისტრირებული, რომელთა მიმართაც 2011 წლის 1 იანვრიდან იძულებითი სააღსრულებო წარმოება მიმდინარეობს. მოვალეთა რეესტრში ამ დროისთვის 33 013 პირია რეგისტრირებული. „მოვალეთა რეესტრს“ აღსრულების ეროვნული ბიურო აწარმოებს, რომელიც მონაცემების მუდმივ განახლებასა და ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. მოვალეთა რეესტრის მონაცემები საჯაროა. რეესტრში რეგისტრირებული პირების შესახებ ინფორმაციის მისაღებად მომხმარებელი უნდა შევიდეს აღსრულების ეროვნული ბიუროს ვებ-გვერდზე განთავსებულ მოვალეთა რეესტრის ბანერში და მასში განთავსებულ ფანჯრებში შეიყვანოს საძიებო პირის მონაცემები (მოქალაქის სახელი, გვარი, ორგანიზაციის დასახელება და მოქალაქის პირადი ნომერი ან ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი), ან განცხადებით მიმართოს აღსრულების ეროვნული ბიუროს კანცელარიას რეესტრიდან შესაბამისი ცნობისა და ამონაწერის მისაღებად.

**— სააღსრულებო საქმისწარმოების ელექტრონულ რეესტრზე რას გვეტყვით?**

— სააღსრულებო საქმისწარმოების პროგრამის მეშვეობით მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, საკუთარი სააღსრულებო საქმის წარმოების მსვლელობას, საქმეში არსებულ დოკუმენტაციას გაეცნოს და გაიგოს, რა ეტაპზეა მისი სააღსრულებო საქმისწარმოება. სააღსრულებო საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამა სააღსრულებო ფურცლის რეგისტრაციისთანავე საქმეს უნიკალურ 8-ციფრიან ნომერს და 14-ნიშნა ინდივიდუალურ კოდს ანიჭებს. ეს მონაცემები ეცნობება კრედიტორს (მიღების ბარათით) და მოვალეს (წინადადებით გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ). აღნიშნული მონაცემები ვებ-გვერდზე www.nbe.gov.ge განთავსებულ შესაბამის ფანჯარაში ხვდება.

**— როდის გადავიდა თქვენი ბიურო აუქციონის ჩატარების ელექტრონულ სისტემაზე?**

— აღსრულების ეროვნული ბიურო აუქციონების ჩატარების ელექტრონულ სისტემაზე მიმდინარე წლის 1 თებერვლიდან გადავიდა. აუქციონების ჩატარების ელექტრონულ სისტემაზე გადასვლამ რეალიზებული ქონების ზრდა განაპირობა. კერძოდ, პირველ ელექტრონულ აუქციონზე – 23, ხოლო განმეორებითზე 3 ერთეული უძრავი ქონება გაიყიდა. რაც შეეხება მოძრავ ქონებას, პირველ ელექტრონულ აუქციონზე – 38, ხოლო განმეორებითზე 17 მოძრავი ნივთი იქნა რეალიზებული.

**— რა გზით მონაწილეობს მსურველი ინტერნეტ-აუქციონში?**

— ინტერნეტ-აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სავალდებულოა ელექტრონულ ვებ-გვერდზე www.eauction.ge რეგისტრაცია. ვებ-გვერდზე რეგისტრირდებიან როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები (მათ შორის – საზღვარგარეთ რეგისტრირებულებიც). რეგისტრაცია უფასოა. ამის შემდეგ მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, უფასოდ მიიღოს სადებეტო ბარათი, რომლის მეშვეობითაც იგი ყველაზე მარტივი ანგარიშსწორებით ისარგებლებს. ბარათის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.eauction.ge განაცხადის შევსების გზით.

ელექტრონული ვაჭრობის დროს ფასის მატება ვაჭრობის ბიჯით ხდება, რაც ონლაინ-რეჟიმში ჩანს. ფასის მატების ბიჯი ქონების საწყისი ფასის 1%-ს შეადგენს. გამარჯვებულად ითვლება მონაწილე, რომლის მიერ აუქციონის დასრულებამდე შემოთავაზებული იქნება ყველაზე მაღალი ფასი. ვაჭრობის დასრულებისას გამარჯვებულს გაეგზავნება შეტყობინება ელექტრონულ მისამართზე და მობილური ტელეფონის ნომერზე.

ქონების შემძენმა ქონების ღირებულება აუქციონში გამარჯვების დღიდან 1 კვირის ვადაში უნდა გადაიხადოს. საკუთრების უფლება მას მხოლოდ თანხის სრულად გადახდის შემდეგ მიეცემა. ანგარიშსწორება შესაძლებელია როგორც ბანკში, ასევე ვებ-გვერდიდან პლასტიკური ბარათის მეშვეობით.

აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ განთავსებული ლოტები ჩვეულებისამებრ, წარმოდგენილია საბაზრო ღირებულების 50, ხოლო განმეორებითი აუქციონის შემთხვევაში 25 პროცენტად - ანუ მეოთხედ ფასად.

ელექტრონულ სისტემაზე გადასვლამდე აღსრულების ეროვნული ბიურო აუქციონებს ტერიტორიულ ბიუროებში, სარეალიზაციო ნივთის ადგილმდებარეობის მიხედვით ატარებდა, ხოლო მყიდველი იძულებული იყო, ნივთის შესაძენად აუქციონის გამომცხადებელ რეგიონულ ბიუროში მისულიყო და აუქციონის პროცესში ადგილობრივად მიეღო მონაწილეობა. ელექტრონულ სისტემაზე გადასვლამ კი მომხმარებელს არა მარტო აუქციონში მონაწილეობა გაუადვილა, არამედ თავად აუქციონის პროცესიც გაცილებით გამჭვირვალე გახადა. ამასთან, აუქციონების პროცესში გაცილებით მეტ მომხმარებელს შეუძლია ჩართვა, რაც კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას უწყობს ხელს.

**— კიდევ რა სერვისების შეთავაზება შეგიძლიათ მომხმარებლისთვის?**

— ნებისმიერ მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, ბიუროს სერვისებით ისარგებლოს – მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია სააღსრულებო საქმიანობასთან დაკავშირებით (იურიდიული კონსულტანტები დღეში საშუალოდ 90-100 კონსულტაციას გასცემენ), შეხვდეს აღმასრულებელს შეხვედრისთვის განკუთვნილ დროს (10:00 – 13:00 სთ), აღსრულების ეროვნული ბიუროს ელექტრონულ სერვისებთან დაკავშირებით ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს, სურვილისამებრ, კონსულტანტების დახმარებით დარეგისტრირდეს და ელექტრონული აუქციონების პროცესში ჩაერთოს.

გარდა ამისა, მოქალაქეებს სააღსრულებო საქმიანობასთან დაკავშირებით სასურველი ინფორმაციის მისაღებად შესაძლებლობა აქვთ, მიმართონ აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახურს ნომერზე (+995 32) 749-649. საინფორმაციო ცენტრი უზრუნველყოფს მოქალაქეების სწრაფ და ამომწურავ ინფორმირებას სააღსრულებო საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე; დაინტერესებულ მოქალაქეს აწვდის ინფორმაციას მისი სააღსრულებო წარმოების მსვლელობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მოქალაქეების სატელეფონო გადართვას აღსრულების ეროვნული ბიუროს იმ თანამშრომლებთან, რომლებიც კომპეტენტურნი არიან მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

საინფორმაციო ცენტრი აღსრულების ეროვნულ ბიუროში 2010 წლის 2 აგვისტოდან ამოქმედდა. საინფორმაციო ცენტრში შემოსული ზარების რაოდენობა ყოველდღიურად მკვეთრად იზრდება. ამ დროისთვის საინფორმაციო ცენტრში დღეში დაახლოებით 300 ზარი შემოდის.

**„პირველი“**

განსჯა

# სოციალური ქსელიდან – სოციალურ მედიამდე

(მესამე გვერდიდან)

სოციალური ქსელები სიახლეა ჩვენთვის, ევროპელებისა და ამერიკელებისთვისაც, მაგრამ ცხადია, როცა შენ ამ ქსელში აქტიურობ, წერ სტატუსებს, კომენტარებს, ეს საჯარო ხდება – შენს ნებისმიერ მოსაზრებას იგებს ასი, ათასი ან ათი ათასი ადამიანი და ამ დროს შენ ვერ გასწევ საკუთარი მოსაზრებების ადვოკატირებას, შენ ვერ იტყვი, რომ ამა თუ იმ სტატუსში სულ სხვა რამ იგულისხმე... შესაძლოა, დაინტერესებულმა პირმა შენს იმ კომენტარს ვერც კი მიაგნოს, რადგან ეს ქსელია, აბლაბუდა. ამიტომაც ჟურნალისტი ვალდებულია, იყოს კორექტული – ეს არ არის პირადული საუბარი, მეტიც, შესაძლოა, დადგეს საკითხი: პირად საუბარშიც ხომ არ მოეთხოვება ჟურნალისტს, იყოს აბსოლუტურად მიუკერძოებელი, იქნებ სწორედ ეს საუბარი დაედოს საფუძვლად მომავალში მის მიერ რომელიმე მასალის მომზადებას? რისთვის გვინდა ეთიკური ნორმები: მხოლოდ იმისთვის, რომ თავი მოვაწონოთ მსოფლიოს თუ იმისთვის, რომ ჟურნალისტიკა პროფესიული ეთიკის საფუძველზე მომზადებულმა ადამიანებმა აკეთონ?! თუ გვინდა თვალთმაქცობა, მაშინ პირდაპირ ვთქვათ, რომ არ შეგვიძლია, არ გვინდა ეთიკური ჟურნალისტიკის კეთება. ასეთი ლოგიკით გამოდის, რომ შეიძლება ვიყოთ შოვინისტები, ჰომოფობები, არმენოფობები, რასისტები და შემდეგ ეთერში ან საგაზეთო პუბლიკაციაში დავაბალანსოთ ეს ყველაფერი – ეს უკვე თვალთმაქცობაა და, თუ ეს არის ჟურნალისტიკა, მაშინ ხდება გაორება, გაორებული ჟურნალისტი კი მკითხველს, მსმენელს, მაყურებელს არ სჭირდება.

**— სოციალურმა ქსელებმა ათასობით ადამიანს საკუთარი პოზიციის გამოხატვის საშუალება მისცა. ყოველდღიურად ასეთი ქსელების საშუალებით არაერთ ინფორმაციას ვიღებთ. არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოში სოციალური მედია ჩამოყალიბებულია. ეთანხმებით თუ არა ამ მოსაზრებას?**



— სოციალური მედია ძალიან მძიმედ იბადება და შემიძლია გითხრათ, საქართველოში ის ჯერ არ არსებობს, გვაქვს სოციალური ქსელი, მაგრამ არა სოციალური მედია. სოციალური ქსელი არის ჩანაცვლება კომუნიკაციის ისეთი ფორმებისა, როგორიცაა ჭორაობა, ადამიანური ისტორიების გაცვლა ფინჯანი ყავის ფონზე სამზარეულოში, ქსელმა ჩაანაცვლა მობილური ტელეფონით ჭორაობა თუნდაც იმიტომ, რომ ის უფრო იაფია. სოციალურმა ქსელებმა შეიძლება გამოიწვიოს რაღაც პროცესები, მაგრამ იმისათვის, რომ ის გახდეს მედია, მან აუცილებლად უნდა შეინარჩუნოს ის მედიასტანდარტები, რომლითაც მედია განსხვავდება ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებებისგან: ინფორმაცია ბევრნაირად ვრცელდება, მაგრამ მედია არ იყენებს ყველა მექანიზმს. ის ეფუძნება უმთავრეს რამეს – თუ არ არის დაზუსტებული ფაქტი, თუ არ ჩანს ავტორის მიუკერძოებლობა, თუ არ არის ეთიკური სტანდარტები დაცული, თუ არ არის ამა თუ იმ ფაქტთან დაკავშირებით ყველა ტენდენცია ასახული, მაშინ ეს პროპაგანდაა და არა მედია. სოციალურ ქსელს კი ძალიან დიდი ძალა აქვს იმისთვის, რომ იყოს პროპაგანდის ინსტრუმენტი. წინასაარჩევნო კამპანიის დროს „ფეისბუქით“ უზარმაზარი ადამიანური და ფინანსური რესურსის მოზიდვის დროს ბარაკ ობამა სწორედ სოციალურ ქსელს იყენებდა, როგორც პროპაგანდის საშუალებას. ასე ხდება როგორც დემოკრატიულ, ისე არადემოკრატიულ ქვეყნებშიც (აქ, ბუნებრივია, არ იგულისხმება ისეთი სახელმწიფოები, სადაც სოციალური ქსელები აკრძალულია).

**— ქართულ სოციალურ ქსელებში სოციალური მედიის ნიმუშები „გვხდება“?**

— იქ შეიძლება ვიღაცამ განათავსოს რეტრო, ვთქვათ, 1982 წელს გაზეთ „კომუნისტის“ გვერდზე ნაპოვნი მასალა, სათაურით „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“ და ამან გამოიწვიოს დისკუსია. კი, ბატონო, ეს ძალიან კარგია, რადგან სადისკუსიო სივრცე იქმნება. ეს უკეთესი ვარიანტია, ვიდრე იმის განხილვა „ფეისბუქზე“, თუ ვინ ვის დაარტყა, ვინ ვის ჩაუწვა ლოგინში ან მსგავსი რამ – ეს სოციალური ქსელების ატროფირებული ფორმაა. რა თქმა უნდა, ეს საყმაწვილო სენია, რომელსაც, იმედი მაქვს, საზოგადოება დაძლევს. თუ ვერ დაძლევს, ჩაიხარშება საკუთარ წვენში და, თუ არ ჩაიხარშა, მაშინ გვექნება ისეთი მედია, როდესაც ჟურნალისტი ეთიკური სიუჟეტის გაკეთების დავალების მიღებისას უარყოფითად არ დაიმუხტება, ღამე გაბრაზებული არ მივა სახლში და არ დადებს საშინელ, რასისტულ და ჰომოფობიურ სტატუსებს საკუთარ გვერდზე.

**მალხაზ ჭკადუა**

ჩვენი იურიდიული კონსულტაცია

# სავალდებულო წილი და საანდერძო დანაკისრი (ლეგატი)

**ჩვენი გაზეთის მკითხველთა დიდი ნაწილის ინტერესის გათვალისწინებით, დღეს განვმარტავთ მემკვიდრეობის სამართლის ორ მეტად მნიშვნელოვან საკითხს:**

**1. რას ითვალისწინებს კანონი იმ შემთხვევაში, როცა სამკვიდროს დამტოვებელს (მამკვიდრებელს) ჰყავდა პირველი რიგის მემკვიდრეები (შვილები, მეუღლე და მშობლები), მაგრამ მან ანდერძით მთელი თავისი ქონება ერთ-ერთ მათგანს ან ნებისმიერ სხვა პირს დაუტოვა;**

**2. რა არის საანდერძო დანაკისრი (ლეგატი).**

შეგახსენებთ, რომ მემკვიდრეობის უფლება ორი სახისაა, კანონით და ანდერძით. თუ სახეზეა ანდერძი, მაშინ ქონება გადაეცემა მემკვიდრეს ანდერძის შინაარსის მიხედვით. კანონით მემკვიდრეობის საკითხი კი მაშინ დგება, როცა არ არსებობს ანდერძი ან იგი მიჩნეულია ყალბად ანდა მემკვიდრემ უარი თქვა ანდერძით გათვალისწინებული ქონების მიღებაზე.

აღსანიშნავია, რომ ანდერძით მემკვიდრეობის დროს გარკვეულწილად იზღუდება ანდერძით მემკვიდრეთა ამორჩევის თავისუფლება. მამკვიდრებლის შვილებს, მეუღლეს და მშობლებს ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა, მიუხედავად იმისა, გაითვალისწინა თუ არა ისინი მოანდერძემ ანდერძით. ეს ის მემკვიდრეებია, რომელთაც არ შეიძლება მთლიანად ჩამოერთვათ მემკვიდრეობის უფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი უღირს მემკვიდრეებად არიან ცნობილი. მაგ.: გარდაიცვალა მამაკაცი, რომელსაც დარჩა ორი შრომისუნარიანი, ერთი ინვალიდი შვილი და 3 მილიონი დოლარის უძრავ-მოძრავი ქონება.

როგორც გარდაცვალების შემდეგ გახდა ცნობილი, აღნიშნულმა პირმა მთელი თავისი ქონება ანდერძით დაუტოვა მეგობარ ქალს (მეუღლე და მშობლები ამ დროისთვის გარდაცვლილი ჰყავდა). მოქმედი კანონის თანახმად, ასეთ შემთხვევაში, შვილები მთლად მემკვიდრეობის გარეშე არ დარჩებიან და სავალდებულო წილის სახით მიიღებენ ნახევარ-ნახევარი მილიონი დოლარის ქონებას. მაშინ როცა, მათ მამას ანდერძი სხვის სახელზე რომ არ გაეფორმებინა, როგორც კანონით პირველი რიგის მემკვიდრეები, მიიღებდნენ თითო-თითო მილიონის ღირებულების ქონებას.

ადრე მოქმედი კანონმდებლობით სავალდებულო მემკვიდრეებად ითვლებოდნენ მამკვიდრებლის მხოლოდ არასრულწლოვანი და შრომისუუნარო შვილები, მეუღლე, მშობლები და კმაყოფაზე მყოფი სხვა მემკვიდრეები. მოქმედი სამოქალაქო კოდექსი კი, სავალდებულოდ არ მიიჩნევს აღნიშნულ პირთა არასრულწლოვანებას და შრომისუუნარობას – მათ სავალდებულო წილი ყველა შემთხვევაში ეკუთვნით.

სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მემკვიდრის სამკვიდროს გახსნის შემდეგ გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მან ვერ მოასწრო სავალდებულო წილის მიღება, მის მემკვიდრეებს შეუძლიათ მოითხოვონ სავალდებულო წილი, რაც გარდაცვლილ მემკვიდრეს ერგებოდა. მაგრამ აქვე მნიშვნელოვანია ერთი გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში გარდაცვლილი მემკვიდრის ყველა მემკვიდრე კი ვერ ისარგებლებს ამ უფლებით, არამედ ის მემკვიდრეები, რომელთაც გარდაცვლილი მემკვიდრისგან წილი ეკუთვნით.

სავალდებულო წილის განსაზღვრისას უპირველესად უნდა გაირკვეს სამკვიდროს მთელი მოცულობა. სამკვიდროში, რომლიდანაც უნდა განისაზღვროს სავალდებულო წილის ოდენობა, ჩაითვლება როგორც ანდერძით გათვალისწინებული, ისე გაუთვალისწინებელი ქონება. სავალდებულო წილის ოდენობა სამკვიდროს მოცულობასთან ერთად დამოკიდებულია კანონით მემკვიდრეთა რიცხვზე, რაც განისაზღვრება სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის.

სავალდებულო წილის გამოანგარიშებისას უნდა ვისარგებლოთ შემდეგი წესით: თავდაპირველად უნდა გამოვლინდეს ყველა კანონით მემკვიდრე, რომლებიც მოწვეული იქნებოდნენ სამკვიდროს მისაღებად ანდერძის არარსებობის შემთხვევაში, შემდეგ უნდა განისაზღვროს მთელი სამკვიდროს ღირებულება და მიღებული სიდიდე გაიყოს კანონით მემკვიდრეთა რიცხვზე. მიღებული სიდიდის ნახევარი იქნება სავალდებულო წილი. როცა მხოლოდ ერთი კანონით მემკვიდრეა და ისიც სავალდებულო წილის უფლების მქონე, სამკვიდრო კი სხვას ეანდერძა, სავალდებულო მემკვიდრე მიიღებს სამკვიდროს ნახევარს. სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირს სავალდებულო წილში ჩაეთვლება ის ქონება, რაც მან სამკვიდროს გახსნამდე მიიღო მამკვიდრებლისაგან, მაგრამ ამისთვის აუცილებელია იმის წინასწარ დათქმა, რომ ეს ქონება სავალდებულო მემკვიდრეს სამკვიდროს გახსნის შემდეგ ჩაეთვლება სავალდებულო წილში.

მას შემდეგ რაც განისაზღვრება სავალდებული წილის მოცულობა, უნდა მოხდეს სამკვიდროდან მისი გამოყოფა. სავალდებულო წილი უპირველესად უნდა გამოიყოს ანდერძით გაუთვალისწინებელი სამკვიდროდან, თუ ასეთი არის, მაგრამ თუ ანდერძის გარეთ დარჩენილი ქონება აღნიშნულისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა, იგი შეივსება ანდერძით გათვალისწინებული ქონებიდან. თუ ანდერძით მთელი სამკვიდროა გათვალისწინებული, მაშინ სავალდებულო წილი მთლიანად ანდერძით გათვალისწინებული ქონებიდან გამოიყოფა.

თუ მამკვიდრებელმა აჩუქა ნივთი მესამე პირს, მაშინ სავალდებულო წილზე უფლების მქონე პირს შეუძლია მოითხოვოს მისი შევსება იმ თანხით, რომლითაც გაიზრდება მისი სავალდებულო წილი, თუკი გაჩუქებული ნივთი სამკვიდროში შევა. საჩუქარი ანგარიშში არ ჩაითვლება, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის საჩუქრის გადაცემიდან ათი წელია გასული. აღნიშნული იმას არ ნიშნავს, რომ მამკვიდრებელს ეკრძალება თავისი ქონების გაჩუქება ანდა გაჩუქებული ნივთის სამკვიდროში გათვალისწინება, მაგრამ ეს გამოიწვევს ჩუქების ხელშეკრულების შეწყვეტას და საჩუქრის უკან დაბრუნებას. გაჩუქებული ნივთის სამკვიდროში დაბრუნება იმას ნიშნავს, რომ ამ ნივთის ღირებულება გათვალისწინებული იქნება სავალდებულო წილის განსაზღვრის დროს. მაგალითად, თუ მამკვიდრებელმა სიცოცხლეში გარეშე პირს აჩუქა ნივთი, რომლის ღირებულება არის 300 ლარი, სამკვიდროს ღირებულება კი ექვსას ლარს შეადგენს, სავალდებულო წილი განსაზღვრული უნდა იყოს არა ექვსასი, არამედ ცხრაასი ლარიდან (სამკვიდროს ღირებულებას ემატება გაჩუქებული ქონების ღირებულება). გაჩუქებული ნივთის სამკვიდროში გათვალისწინება სავალდებულო წილის განსაზღვრისას მოხდება სავალდებულო წილზე უფლების მქონე პირის მოთხოვნით.

კანონით გათვალისწინებულია შემთხვევა, როდესაც სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირს ეანდერძა ქონება, რომელიც იმ წილის ნახევარზე ნაკლებია, რომელსაც იგი კანონით მემკვიდრეობისას მიიღებდა, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს ის წილი, რომლითაც ანდერძით მიღებული მისი წილი ნაკლებია იმ წილის ნახევარზე, რასაც კანონით მემკვიდრეობისას მიიღებდა.

აღსანიშნავია, რომ სავალდებულო წილზე შეიძლება უარის თქმა, ასევე შესაძლებელია სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა და სავალდებულო წილის გადასვლა ანდერძით მემკვიდრეებზე.

უფრო კონკრეტულად, მემკვიდრეს უფლება აქვს უარი თქვას თავის წილზე სამკვიდროდან სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ, ხოლო სავალდებულო მემკვიდრეს კი სავალდებულო წილზე სხვა თანამემკვიდრის სასარგებლოდ უარის თქმის უფლება არა აქვს. სამკვიდროს ის ნაწილი, რომელზედაც უარი თქვა სავალდებულო მემკვიდრემ, გადადის ანდერძით მემკვიდრეებზე და მათ შორის თანაბრად ნაწილდება. სავალდებულო წილის მიღების ან მიღებაზე უარის თქმისათვის კანონი იმავე ვადებს ადგენს, რასაც სამკვიდროს მიღების ან მის მიღებაზე უარის თქმისათვის.

პირს შეიძლება ჩამოერთვას არა მხოლოდ მემკვიდრეობის უფლება, არამედ სავალდებულო წილის მიღების უფლება. სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა იმავე საფუძვლებით ხდება, რომლებითაც მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა. სავალდებულო წილის მიღების უფლება მემკვიდრეს შეიძლება ჩამოერთვას ჯერ კიდევ მამკვიდრებლის სიცოცხლეში, თუ მამკვიდრებელი სიცოცხლეშივე მიმართავს სასამართლოს მემკვიდრისათვის სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევის თაობაზე.

გადაწყვეტილება სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევის შესახებ შეიძლება მიღებული იქნეს სამკვიდროს გახსნამდე, მაგრამ იგი მოქმედებს სამკვიდროს გახსნის შემდეგ. სავალდებულო წილის უფლების ჩამორთმევის შესახებ სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილება მიიღოს მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგაც, თუკი მამკვიდრებელმა სასამართლოს სიცოცხლეშივე მიმართა, მაგრამ საქმის განხილვის დროს ცოცხალი აღარ იყო. ასეთ შემთხვევაშიც სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის სამკვიდროს გახსნის მომენტიდან.

ის გარემოება, რომ მამკვიდრებელს სიცოცხლეშივე შეუძლია, მოითხოვოს მემკვიდრისათვის სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა, იმას არ ნიშნავს, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ დაინტერესებულ პირებს არა აქვთ ამა თუ იმ სავალდებულო მემკვიდრისათვის ამ უფლების ჩამორთმევის მოთხოვნის უფლება.

## საანდერძო დანაკისრი (ლეგატი)

მოანდერძეს შეუძლია ანდერძით დააკისროს მემკვიდრეს სამკვიდროს ხარჯზე ერთი ან რამდენიმე პირის სასარგებლოდ რაიმე ვალდებულების შესრულება. ასეთ განკარგულებას საანდერძო დანაკისრი (ლეგატი) ეწოდება, ხოლო პირს, რომლის სასარგებლოდაც ეს კეთდება – საანდერძო დანაკისრის მიმღები (ლეგატარი). საანდერძო დანაკისრის მიმღები შეიძლება იყოს, როგორც მემკვიდრეთა წრეში შემავალი პირი, ისე გარეშეც. რაიმე ვალდებულების შესრულება კი შეიძლება დაეკისროს ყოველ ანდერძით მემკვიდრეს: ფიზიკურ ან იურიდიულ პირს და ხაზინასაც, თუ ქონება მას ეანდერძა.

მამკვიდრებლის მიზნის განხორციელებისათვის ზოგჯერ აუცილებელია ლეგატის გამოყენება. მაგალითად, როცა მამკვიდრებელს სურს, სამკვიდროს გადასვლა მემკვიდრის საკუთრებაში, მაგრამ ისე, რომ ქონების გარკვეული ნაწილით განსაზღვრული დროით ან მთელი სიცოცხლის მანძილზე ისარგებლოს სხვა პირმა. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ლეგატი წარმოშობს არა მემკვიდრეობით, არამედ ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობას, რომელშიც კრედიტორის სახით გამოდის ლეგატარი, ხოლო მოვალის სახით – მემკვიდრე. ლეგატის საფუძველზე ლეგატარი ხდება მემკვიდრის კრედიტორი და უფლება აქვს, მოითხოვოს მისგან ანდერძით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება, თვით ლეგატარი კი არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს კრედიტორის მოვალე და მამკვიდრებლის ვალებისათვის არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრება. ლეგატარი მემკვიდრის განსაკუთრებული სახის კრედიტორია, რამდენადაც მისი მოთხოვნის უფლება ანდერძიდან წარმოიშობა. მოანდერძეს უფლება აქვს, დააკისროს მემკვიდრეს საცხოვრებელი სადგომით ან მისი განსაზღვრული ნაწილით სამიდღემშიო სარგებლობის უფლების გადაცემა იმ პირისათვის, რომელიც მამკვიდრებელთან ერთად ცხოვრობდა არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში სამკვიდროს გახსნამდე. აღნიშნული არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ მამკვიდრებელმა მემკვიდრეს საცხოვრებელი სადგომის ან მისი ნაწილის სარგებლობაში სხვა პირისათვის გადაცემა დააკისროს, მაგრამ არა სამიდღემშიოდ. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული შეზღუდვა, რომელიც ითვალისწინებს საცხოვრებელი სადგომის მუდმივად გადაცემისათვის ერთი წლის განმავლობაში ცხოვრებას, არ უნდა იყოს აუცილებელი და მამკვიდრებელს თავისუფლად უნდა შეეძლოს მემკვიდრეს, დააკისროს სამისდღეშიო სარგებლობის უფლების გადაცემა მამკვიდრებლის მიერ არჩეული პირისათვის. ეს უფრო მეტ თავისუფლებას შეუქმნიდა მამკვიდრებელს თავისი ნების გამოხატვაში. საცხოვრებელ სადგომზე უფლების შემდგომი გადასვლისას, სამიდღემშიო სარგებლობა ძალას ინარჩუნებს (გაყიდვისას, გაჩუქებისას, გაცვლისას და ასევე მემკვიდრეობით გადასვლისას).

**ირინე ღლონტი**

(დასასრული იქნება)

მწარე სიტყვა

# ბარათი ტვინიან უტვინოებს ...თუ უტვინო „ტვინიანებს“!

***ეს წერილი თუ, საჩივარი, თბილისის ერთ-ერთ უბანში დაიწერა და მთელს ქალაქს გვინდა გავაგებინოთ, ვის ხელში ვართ!***

ამ უბანს „ვაზისუბანი“ ჰქვია!.. დიდებული სახელი – ვაზის უბანი! ძველ თბილისელებს ამ ველ-მინდვრებზე ვაზი ჰქონიათ გაშენებული და თავი მოსწონდათ ამით! მერე, ქალაქის ერთ-ერთ ლამაზ გარეუბნად განაშენდა. დასახლდა ათი ათასობით ოჯახი და ამ ოჯახებმა (როგორც მოსალოდნელი იყო!) დაიწყეს გამრავლება! გამრავლებას სკოლა-სასწავლებლების ქსელის გაფართოებაც მოჰყვა. და მომრავლდნენ მოსწავლეები. მერე, მოსწავლეები სტუდენტები გახდნენ. სტუდენტებს ვაკესთან და საბურთალოსთან დამაკავშირებელი სატრანსპორტო საშუალებები დასჭირდათ, მიიღეს კიდეც. ვაკისკენ – სამარშრუტო ტაქსი ნომერი 35 და ყვითელი ავტობუსი ნომერი 98! საბურთალოსკენ კი – 25 ნომერი „ყვითელი“ და 206 ნომერი სამარშრუტო ტაქსი!

რაღა მარტო სტუდენტებიო, იკითხავს მკითხველი! იმადა, რომა ვაზისუბანში ოთხ თუ ხუთ ასეულზე მეტი სტუდენტი ცხოვრობს და ამ სტუდენტებს ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში ხომ უხდებათ სიარული? მერე და სად არის ამ ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების მეტი წილი? სად არის და ვაკეში და საბურთალოზე! ჰოდა, შეუმსუბუქა „ზემოთ ჩამოთვლილმა“ სატრანსპორტო საშუალებებმა ჩვენს სტუდენტ-ახალგაზრდობას მიმოსვლა! ამას ისიც დაემატა, რომ ხანდახან ჩვენც, უფროსებიც დავდივართ ხოლმე იმ „ელიტურ“ უბნებში და, თქვენ წარმოიდგინეთ, ისე წავიდა საქმე, რომ ლამის არც გვყოფნიდა კიდეც ის სატრანსპორტო საშუალება, რომელიც გამოგვიყო ჩვენმა ძვირფასმა მთავრობამ! არ გვყოფნიდა და...

ვიღაც ტვინიანმა უტვინომ თუ, უტვინო „ტვინიანმა“ მოიფიქრა, – მაინც გარეუბანში ცხოვრობენ ეს ვაზისუბნელები და რად უნდათ პირადპირი „სვლაგეზიო“ და ერთ მშვენიერ დღეს ვაკელებს მანქანის გამონაბოლქვი აირით ფილტვები რომ არ დასკლომოდათ, 35-ე „მარშუტკას“ ალიკაპი ამოსდეს და „სვლაგეზი“ გაუნახევრეს! ცოტა მერე კი, ხალხზე „მზრუნველმა“ ჩვენმა ძვირფასმა უტვინო ტვინიანმა მთავრობამ „98“ და „25“ ავტობუსებსაც იგივე გაუკეთეს და ახლა საბურთალოზე და ვაკეში რომ მოვხვდეთ, ორმაგი „გროშები“ გვიჯდება!

ამიტომ, ჩვენ, ვაზისუბნელები, ვამბობთ, – იმ უტვინო ტვინიანებმა თუ, ტვინიანმა „უტვინოებმა“ ცოტა გონებას დაატანონ ძალა და ჩვენ კი თავი დაგვანებონ!

ჩვენს ავტობუსებს კი, ჩვენვე მოვუვლით!

**ზაალ ფილფანი**
**და სხვები**

ინფორმაცია

## სოფელი ჭერემი გარესამყაროს არის მოწყვეტილი

**წვიმების** შედეგად გურჯაანის რაიონში მდინარე ჭერმის ხევი ადიდდა. ადიდებულმა მდინარემ სოფელ ჭერემთან დამაკავშირებელი ერთადერთი გზა, რომელიც მდინარეზე გადის, წყლით დაფარა. სოფელი ჭერემი ამ დროისთვის გარესამყაროს არის მოწყვეტილი.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს სოფელ ჭერემის საჯარო სკოლის დირექტორმა თამაზ აბესაძემ განუცხადა, წყლის დონის დაწევის შემთხვევაში, ჭერემთან დაკავშირება მხოლოდ ორხიდიანი მანქანით იქნება შესაძლებელი.

– ჭერმის ხევი წვიმების გამო კვირას ადიდდა. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ დღეს სოფელში თოვლი მოვიდა. გზაზე ავტომანქანების გადაადგილება შეუძლებელია, – აღნიშნა თამაზ აბესაძემ.

ჭერემი მაღალმთიანი სოფელია და იქ 14 ოჯახი ცხოვრობს.

ჯი-ეიჩ-ენი

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ჯაშუშომანიის შეტევა

**სამშაბათს საქართველომ კვლავ ბრალი დასდო რუსეთს ტერორისტულ საქმიანობაში, რასაც იგი მის ტერიტორიაზე ახორციელებს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ამტკიცებს, რომ ისევე, როგორც შემოდგომის ტერორისტული აქტების შემთხვევაში, კვალს შარშან სამინისტროს ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირის მომხდარ მკვლელობაში, თითქოსდა მივყავართ „დაზვერვის მთავარი სამმართველოს აგენტებთან", რომლებიც მუშაობენ აფხაზეთის ტერიტორიაზე და ქირაობენ ქართველებს.**

საქართველომ კიდევ ერთხელ დასდო ბრალი რუსეთის სპეცსამსახურებს ერთი წლის წინანდელი ტერორისტული აქტის ორგანიზაციაში.

„გამოძიებას აქვს სერიოზული დამადასტურებელი საბუთები, რომ ამ საქმის უკან დგანან რუსეთის სპეცსამსახურები", – განაცხადა სამშაბათს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა.



საკითხი შეეხება აფეთქებას, რომელიც მოხდა შარშან 5 მაისს ბათუმში. ტერორისტული აქტის მიზანი გახდა ავტომობილი „ტოიოტა", რომელიც ეკუთვნოდა აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირს დიმიტრი კორძაძეს, რომელიც ადგილზევე დაიღუპა, ავტომობილის კიდევ ერთი მგზავრი დაიჭრა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეგვახსენა, რომ დაღუპული 2004-2007 წლებში მუშაობდა სპეციალური დანიშნულების რაზმში პასუხსაგებ თანამდებობაზე დასავლეთ საქართველოში და, რომ, თითქოს სწორედ ამის გამო გახდა იგი დაქირავებულთა სამიზნე.

საქართველოს სამართალდაცვის ორგანოების მონაცემებით, ტერორისტული აქტი კორძაძის წინააღმდეგ დაიგეგმა ჯერ კიდევ 2009 წელს. მაშინ აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებზე თემურ ბუტბაიაზე და ოთარ როგავაზე, რომლებიც ამ რესპუბლიკაში გატაცებული მანქანების რეალიზაციით იყვნენ დასაქმებული, თითქოს გავიდნენ ადგილობრივი პარლამენტის დეპუტატი სლავიკ ვარდანია და კრიმინალური ავტორიტეტი ვალმერ ბუტბა. მათ ქართველებს გააცნეს ორი რუსი – „სტასი და რომა", რომელთა სახელებიც დაასახელა აღიარებითს ჩვენებაში ბუტბაიამ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სტასი და რომა აღმოჩნდნენ „რუსეთის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის მთავარი სამმართველოს თანამშრომლები.

ამ უკანასკნელებმა, როგორც ამას თბილისი ამტკიცებს, გადასცეს ბუტბაიას და როგავას 5 ათასი დოლარი, რათა ისინი გადასულიყვნენ საქართველოს საზღვარზე და გამოერკვიათ, სად ცხოვრობდა კორძაძე. მათ ქართველებს გადასცეს წინასწარ აგრეთვე მისი ფოტოსურათიც.

გარკვეული დროის შემდეგ ბუტბაიამ და როგავამ შეძლეს გაეგოთ, რომ კორძაძე სამუშაოდ გადაიყვანეს აჭარაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში.

შარშან მარტში გაიმართა ახალი შეხვედრა აფხაზეთში დაზვერვის მთავარი სამმართველოს აგენტებთან სტასთან და რომასთან, რომლის დროსაც ბუტბაიამ და როგავამ კვლავ მიიღეს 5 ათასი დოლარი, გადავიდნენ საზღვარზე და ჩავიდნენ აჭარაში. 4 მაისს მათ შეძლეს დაეყენებინათ დისტანციურად მართვის ასაფეთქებელი მოწყობილობა კორძაძის მანქანაზე და მეორე დღეს მოეხდინათ ავტომობილის აფეთქება მის პატრონთან ერთად.

ბუტბაიას სიტყვებით, ოპერაციის დამთავრების შემდეგ სტასმა და რომამ მათ გადასცეს 42 ათას დოლარი ჯილდოდ.

შემდეგში ტერორისტული აქტის ყველა შემსრულებელი დააკავეს, მაგრამ ერთ-ერთმა მათგანმა – როგავამ ციხეში თავი მოიკლა.

სასამართლო პროცესი ბრალდებულებზე დაიწყება ქვეყანაში 5 აპრილს. თანაც საქართველოს იმედი აქვს, რომ რუსეთი შეუერთდება გამოძიებას.

თუმცა, როგორც მერაბიშვილმა შეგვახსენა, შემოდგომის ტერორისტული აქტების სერიის შემდეგ, რომლებშიც, როგორც თბილისში არიან დარწმუნებული, ასევე მონაწილეობას ღებულობდნენ დაზვერვის მთავარი სამმართველოს თანამშრომლები, მოსკოვს მიაწოდეს ანალოგიური წინადადება, რომელსაც პასუხი არ მოჰყოლია. „მაშინ ჩვენ მოვუწოდეთ რუსეთს თანამშრომლობისკენ, გადავუგზავნეთ გამოძიების მასალები, მაგრამ პასუხი არ მიგვიღია", – თქვა შინაგან საქმეთა მინისტრმა მერაბიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ადრე ამტკიცებდა: შარშან შემოდგომაზე ტერორისტული აქტების სერია საქართველოში დაამუშავა და ანაზღაურებაც გადაიხადა დაზვერვის მთავარმა სამმართველომ, კერძოდ კი მაიორმა ევგენი ბორისოვმა, რომელიც აფხაზეთში მსახურობს. მაიორს საქართველო ეძებს ინტერპოლის მეშვეობით. აფეთქება მაშინ მოხდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან, ოპოზიციური ლეიბორისტული პარტიის ოფისთან და რკინიგზაზე. დაიღუპა ერთი ქალი.

დაკავებულია რამდენიმე შემსრულებელი, მათ აღიარეს ჩადენილი დანაშაული. თუმცა ლეიბორისტები ამტკიცებდნენ, რომ ტერორისტული აქტები თავად საქართველოს ხელისუფლების მიერ არის განხორციელებული. რუსეთმაც მისი სპეცსამსახურების მისამართით წამოყენებულ ბრალდებებს „ბოდვა" უწოდა.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

◉ ქართული კულტურის წარმატება

# ფელიქს ღლონტის აღიარება

**ქართველ კომპოზიტორს ფელიქს ღლონტს აღიარება არც აქამდე აკლდა. ის არის საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიისა და კომპოზიტორთა III საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, ახლახან პროფესორმა ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის საპატიო ჯილდოც დაიმსახურა. ინსტიტუტის პრეზიდენტმა ჯონ ევანსიმ მას ასეთი შინაარსის წერილი გამოუგზავნა:**



„ძვირფასო პროფესორო ღლონტო, ჩვენი დიდი ხნის ტრადიციის თანახმად – პატივი მივაგოთ ღირსეულ ადამიანებს მათი პროფესიული და ჰუმანიტარული მოღვაწეობისთვის, ინსტიტუტის მსოფლიო ჟიურიმ თქვენ დაგასახელათ საერთაშორისო კულტურის ღირსების დიპლომის ლაურეატად. ასეთი პატივი იშვიათია, დიპლომის რეციპიენტები მას ერთ-ერთ ყველაზე დიდ პატივად მიიჩნევენ. დიპლომი ნიშანია გამორჩეული სულიერებისა და მოღვაწეობისა. გილოცავთ, თქვენს წარდგენას ამ ჯილდოზე.

თქვენმა ისტორიულმა მიღწევებმა და ბოლოდროინდელმა მოღვაწეობამ განაპირობა თქვენი დაჯილდოება ამ საპატიო დიპლომით. დიდი პატივით ვაღიარებ თქვენს დადებით გავლენას საზოგადოებაზე. ასეთ მკაცრ და მომთხოვნ მსოფლიოში თქვენ სიმტკიცე და თავდადება გამოიჩინეთ ჩვენი ერების გასამხნევებლად. პატივისცემით, **ჯონ ევანსი, პრეზიდენტი**".

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა" გულწრფელად ულოცავს ჩვენს სასიქადულო კომპოზიტორს ამ კიდევ ერთ მნიშვნელოვან აღიარებას! უსურვებს წარმატებებსა და შემოქმედებით მრავალფეროვნებას ქართული კულტურის განვითარების გზაზე.**

# დედამიწის ზურგზე

**სპეცოპერაციაზე ლიბიაში აშშ-მა გაანადგურა ჯავშანმანქანები, რათა დაეცვა დაღუპული თვითმფრინავის მფრინავები.**

ამერიკის სარდლობა უარყოფს, რომ ცეცხლი გაუხსნეს მშვიდობიან მოსახლეობას, რომლებიც მფრინავების დასახმარებლად მიდიოდნენ, მაგრამ აღიარა, რომ ჩამოაგდო ორი ბომბი საეჭვო ჯავშანმანქანების მისამართით. ორივე მფრინავი გადარჩა: ერთი გლეხებმა ნახეს, მეორე გამოიყვანეს შვეულმფრენით.

* * *

**მოკავშირეები კვლავ ბომბავენ ლიბიას. გადაწყდა ოპერაციის ხელმძღვანელობა გადაეცეს ნატოს**

ოფიციალურად გადაწყვეტილება ოპერაციის გადაცემის შესახებ ჯერჯერობით არ გამოქვეყნებულა. მაგრამ ეროვნული უშიშროების საკითხში პრეზიდენტის თანაშემწის მოადგილემ ბენ როდსმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი შეთანხმდნენ სარდლობის ნატოსთვის გადაცემის მოსაზრებასთან დაკავშირებით. ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს ლიბიაში წარმოადგენს თურქეთი.

* * *

**მუამარ კადაფი ხანმოკლე დროით გამოჩნდა საზოგადოებაში, მან მოუწოდა ბრძოლისკენ საბოლოო გამარჯვებამდე**




მისი გამოჩენა აჩვენეს ადგილობრივი ტელევიზიის პირდაპირ ეთერში. „ჩვენ ვიზეიმებთ გამარჯვებას" ყველა მტერზე – როგორც ოპოზიციაზე, ისე საერთაშორისო კოალიციის ჯარებზე, აცნობა კადაფიმ თავის მომხრეებს ტრიპოლში. „მე აქ ვრჩები, ჩემს სახლში, თქვენთან ერთად", – თქვა მან.

* * *

**დაიწყო ბერლუსკონის ორგიების ფოტოების პუბლიკაცია: იტალიის პრემიერს უყვარდა მსახიობური თამაშები**

მაკომპრომიტირებელი ფაილები აღმოაჩინეს ნოუთბუქებსა და ათობით ქალის ფოტოაპარატებში, რომლებიც სტუმრობდნენ პრემიერ-მინისტრის ვილას. სილვიო ბერლუსკონის ბრალს სდებენ არასრულწლოვანი მეძავების გამოყენებაში. გამოქვეყნებულ ფოტოგრაფიებში მოჩანს ტელევარსკვლავი ბარბარა გუერა პოლიციის ფორმაში.

* * *

**„ფუკუსიმა-1"-ის მეორე რეაქტორზე სამუშაოები შეჩერდა რადიაციის გამო, ტოკიოში მოიწამლა სასმელი წყალი**



პირველ რეაქტორზე კვლავ გაიზარდა ტემპერატურა – დასაშვები ზღვრული 302 გრადუსიდან 400 გრადუსამდე.



აღდგა ელექტრომომარაგება მესამე ენერგობლოკის შენობაში. უახლოეს დღეებში იაპონიაში მოსალოდნელია ახალი მიწისძვრები 7 და მეტი ბალის მაგნიტუდით.

* * *

**იაპონიაში უკვე 23 ათასი დაღუპული და უგზო-უკვლოდ დაკარგულია**

ოფიციალურად დაღუპულთა რიცხვი 9301 კაცს შეადგენს, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სიაში კი 13786 კაცია. სხვადასხვა ხარისხის ტრავმები მიიღო 2722 კაცმა. ამ დროს შეუძლებელია ჯერ კიდევ ეკონომიკური ზარალის შეფასება.

* * *

**რადიოაქტიური ნივთიერებანი იაპონიის პრეფექტურა ფუკუსიმაში ერთბაშად ბოსტნეულის 11 სახეობაში აღმოაჩინეს. აშშ-მა აკრძალა იმპორტი**

დაზიანებულ პროდუქტებს შორის არის ისპანახი, ფერადი კომბოსტო და კიდევ ბოსტნეულის



რამდენიმე სპეციალური სახეობა, რომლებსაც იაპონიაში იყენებენ. ბოსტნეულის ყველა დაბინძურებული სახეობა მოჰყავდათ ღია ცის ქვეშ. მოსახლეობას მიეცა რეკომენდაცია, თავი შეიკავონ საკვებში მათ გამოყენებაზე.

* * *

**ახალი 6 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა ატომური ელექტროსადგურ „ფუკუსიმა-1"-ის ავარიულ რაიონში**

შემდეგ ხანმოკლე ინტერვალებით აღინიშნა კიდევ ორი ძლიერი მიწისქვეშა ბიძგი მაგნიტუდით 5,8-დან 5,9-მდე. თავდაპირველად გამოაცხადეს ცუნამის საფრთხის შესახებ, მაგრამ შემდეგ იგი გააუქმეს. ახალი ბიძგების სერიას არ შეუქმნია პრობლემები ატომური ელექტროსადგურის აღდგენით სამუშაოებზე.

### როგორ ვიცხოვროთ?

# მიწას რა უნდა გლეხკაცის ხელში, ის ბანკში უნდა იყოს ჩადებული!..

**საქართველოს ეროვნული ეკონომიკის ბოლო წლებში დაზარალებულ დარგებს შორის ყველაზე მეტად მაინც სოფლის მეურნეობა დაიჩაგრა, რამაც, როგორც სარკეში, ქვეყნის მხარეების მოსახლეობის უდიდეს სიდუხჭირეში ჰპოვა ანარეკლი. სოფლის მეურნეობის ლამის ერთიან გაპარტახებას შედეგად ისიც მოჰყვა, რომ ყოველდღიურადაც, დღესასწაულებზეც ჩვენებურს კი არა, უცხოურ, ხშირად ყოვლად უვარგისს კვების პროდუქტებს მოვიხმართ.**

მიწათმოქმედთა ქვეყანაში, როგორც საქართველოს ოდითგანვე უწოდებდნენ, სოფლის მეურნეობის დაქცევა რამდენიმე მიზეზითაა განპირობებული, რომლებსაც, როგორც ჩანს, ბოლო დროს კიდევ ერთი მიემატა. ესაა ახალი წლიდან გადიდებული მიწის გადასახადი, რომელიც როგორც მწირ, ისე ნაყოფიერ მიწაზე თითქმის ერთიორად გაიზარდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ მიწის გადასახადის გადახდა მოსახლეობას გაძვირებამდეც უჭირდა, ახლა, მით უმეტეს, მის მფლობელობაზე და, თავისთავად, მოვლა-პატრონობაზე იძულებულია, უარი თქვას.

ამასთან, მიწის პრივატიზებას გაცილებით უფრო მეტი თანხები სჭირდება, ამიტომ რა გასაკვირია, რომ ახალ მოდაზე ფერმერებად წოდებული გლეხების აბსოლუტური უმრავლესობა, რომლებიც მიწის დასამუშავებლად საწვავსა და შხამქიმიკატების ყიდვას ვერ ახერხებენ ხელმოკლეობის (და არა სიზარმაცის!) გამო, მას მით უმეტეს ვერ იყიდის. არადა, თუ მოიჯარეები წლეულს 1 მაისამდე მიწის პრივატიზებას არ განახორციელებენ, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის საფუძველზე მოიჯარესა და მფლობელს (სახელმწიფოს) შორის ხელშეკრულება გაუქმდება, მიწა კი გაიყიდება. და ნურავის ეგონება, რომ ამ მიწის შემდეგი მფლობელები ისევ ჩვენი გლეხკაცი იქნება, რადგან არსებული გეგმის თანახმად, ახლო მომავალში მიწის ბანკი და საინფორმაციო ცენტრი შეიქმნება, რისი მიზანია პოტენციურ ინვესტორთათვის სასურველი მიწის ნაკვეთის შერჩევის პროცედურის მაქსიმალური გამარტივება და ხელმისაწვდომობა. მოკლედ, საძოვრებისა და ტყეების გასხვისების შემდეგ ახლა ჯერი სახნავ-სათეს მიწებზე მიდგა.

ამგვარად, **მთავრობის მიერ ასე გაპიარებული სოფლის მეურნეობის ძირეული რეფორმა იმით გამოიხატება, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების იჯარისა და პრივატიზების ფასი გაიზარდა,** რაც, მავან ჩინოსანთა აზრით, გლეხებს მიწაზე შრომის მოტივაციას გაუჩენს (?!) და... ყველანი ავშენდებით.

**ცნობისთვის:** ამ უაღრესად „გონივრულ წიაღსვლამდე“ საქართველოში სახნავ-სათესი მიწების მხოლოდ 20 პროცენტამდე (!) იყო დამუშავებული. როგორ ფიქრობთ, ბატონებო, მიწაზე ფასების გაორმაგების შემდეგ ეს ციფრი (და, შესაბამისად, სოფელში ბარაქაც!) მოიმატებს თუ მოიკლებს?



ჰოდა, გამოდის, რომ ნოდარ დუმბაძის უკვდავი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ ერთი პასაჟის სიკეთისა არ იყოს: ჩემოდანს რა უნდა მატარებლის თაროზე, ჩემოდანი სახლში უნდა იყოს, ლოგინის ქვეშო, ჩვენი ხელისუფლების აზრით, მიწას რა უნდა გლეხკაცის ხელში. იგი ბანკში უნდა იყოს ჩადებული!

პრობლემის კიდევ ერთი მხარე ის არის, რომ ეს საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები უცხოელთა ხელში იმ მიზეზითაც მოხვდება, რომ სოფლის მეურნეობაში ფულის დაბანდებისგან საქართველოს კომერციული ბანკები ყოველთვის მაქსიმალურად თავს იკავებდნენ (ამ უმნიშვნელოვანესი დარგის დაფინანსებაზე კრედიტების მხოლოდ 2 % მოდის) და სადღეისოდაც ამ პოლიტიკას აგრძელებენ. სწორედ ამ უაღრესად მანკიერი პრაქტიკის წყალობაა, რომ ამჟამად ჩვენში სხვადასხვა დანიშნულების მიწები და სხვა უძრავი ქონება უმეტესწილად თურქი, არაბი, ყაზახი და ჩინელი ინვესტორების ხელთაა.

აქვე მკითხველთა ყურადღება ერთ საგულისხმო გარემოებაზე გვინდა გავამახვილოთ. საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლის ედუარდ გარდნერის განცხადებით, **„მისია იზიარებს მთავრობის მოსაზრებას, რომ საჯარო ინვესტიციები კერძოებმა უნდა ჩაანაცვლონ“** და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მხოლოდ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების იმედად ყოფნა გლობალური ეკონომიკური კრიზისის პირობებში ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდისთვის არასაკმარისია. ამიტომ კერძო ინვესტიციები უნდა მოიზიდოს, პირველ ყოვლისა, ისეთ უმნიშვნელოვანეს დარგებში, როგორებიცაა სოფლის მეურნეობა და ენერგეტიკა. ბატონი გარდნერი იმასაც დასძენს, რომ ასეთი ინვესტიციები კაპიტალური ბიუჯეტის შემცირების შესაბამისი უნდა იყოს.

თუ ზემოაღნიშნულ ერთ ციფრს გავიხსენებთ, კერძოდ კი იმას, რომ კომბანკების მიერ სოფლის მეურნეობაზე გაცემულ კრედიტებში მხოლოდ 2 პროცენტი უკავია, ლაპარაკი იმაზე, რომ სოფლის მეურნეობაში ქართველი კერძო ინვესტორები ფულს დააბანდებენ, ნამდვილად მიამიტობაა.

სოფლის მეურნეობის დაუფინანსებლობა, რამაც დარგი (ასევე მისი მომიჯნავე პროდუქციის გადამმუშავებელი სფერო) კატასტროფამდე მიიყვანა, იმითაცაა გამოწვეული, რომ ადგილობრივი პროდუქციის წარმოება ამავე საქონლის იმპორტზე „შემომჯდარი“ ჩინოსნების ინტერესებში არ შედის. თანაც ეს ხდება მაშინ, როცა მსოფლიოში კვების პროდუქტებზე ფასების ზრდამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. ამან ზოგიერთ რეგიონში ხალხი ლამის შიმშილის ზღვარზე მიიყვანა, რაც, ადვილი შესაძლებელია, პოლიტიკური არასტაბილურობის მძლავრ იმპულსად გადაიქცეს. **ეს, ცხადია, უწინარესად, განვითარებად ქვეყნებს, მათ შორის, ცხადია, საქართველოსაც ეხება, რომლებიც მთლიანად არიან დამოკიდებული მარცვლეულისა და ნავთობპროდუქტების იმპორტზე.** მდგომარეობა იმდენად საგანგაშოა, რომ, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, რომლებიც ჯერ კიდევ იაპონიაში მომხდარ ბუნებრივ და ტექნოგენურ კატასტროფებამდე გაკეთდა, **ბოლო თვეებში სასურსათო ინდექსი 16 პროცენტით გაიზარდა და თუ მსოფლიოში სადღეისოდ არსებული ზოგადინფლაციური პროცესები შენარჩუნდება, წლის დამლევამდე დედამიწაზე ქრონიკულად მოშიმშილეთა რიცხვი მილიარდ კაცს მიაღწევს.**

ხორბალსა და ნავთობპროდუქტებს თავი რომ დავანებოთ, რომელთაგან პირველს ჩვენივე უგერგილობით ვერ ვაწარმოებთ, მეორეს ნედლეული კი უბრალოდ არა გვაქვს, მეზობლებისგან სოფლის მეურნეობის ისეთი პროდუქციაც კი შემოგვაქვს, რომელიც... თავადაც თავზე საყრელი გვაქვს. მხედველობაში გვაქვს ჩვენი „საარსებო მინიმუმის“ პირველი ათეულის ისეთი მნიშვნელოვანი პროდუქტი, როგორიცაა, მაგალითად, კარტოფილი, რომელსაც, ყველა სიკეთესთან ერთად, სასურსათო პროდუქტებს შორის ინფლაციის მაჩვენებელში ყველაზე მაღალი წილი (2,4%) აქვს (შედარებისთვის: პურის ხვედრითი წილი ინფლაციაში 1,2 პროცენტია). მიუხედავად იმისა, რომ მეკარტოფილეობას დიდი ინვესტიციები არ სჭირდება, დარგი ბოლო წლებში ისე გაჩანაგდა, რომ ადგილობრივი პროდუქცია ბაზრის მოთხოვნის მხოლოდ 30 პროცენტს აკმაყოფილებს. აქედან გამომდინარე, ბოლო ორი წელია საქართველოში კარტოფილის იმპორტის ლიდერები თურქეთი და სომხეთი არიან. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი გულგასახეთქი გარემოება: **იმ დროს, როცა საქართველოს მოსახლეობას ათასგვარი უვარგისი, გენმოდიფიცირებული სოფლის მეურნეობის პროდუქციით კვებავენ (მაგალითად, ხორბლით, სიმინდით, პამიდვრით), საქართველოში მოყვანილი ეკოლოგიურად სუფთა კარტოფილი... საზღვარგარეთ (??!) იყიდება.**

თუმცა, სოფლის მეურნეობის პრობლემები გაცილებით რთულია და, ასე ვთქვათ, „მრავალპროფილიანი“. მიუხედავად ამისა, სატკივრის ძირი და ძირი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაუფინანსებლობაა, სახსრების მოზიდვის სირთულე. ცალკე აღსანიშნავია ასევე აგრარული სფეროს დაზღვევის ბაზრის დღემდე ფაქტობრივი არარსებობა, თუმცა ბოლო დროს ამ მხრივ გარკვეული სასიკეთო ძვრები შეიმჩნევა, რომლებიც სადაზღვევო კომპანიებს „ალდაგსა“ და „ჯიპიაი ჰოლდინგის“ ინიციატივებს უკავშირდება. კერძოდ, „ალდაგი“ გლეხებს სასათბურე მეურნეობების, მეცხოველეობის, ასევე მეთესლეობის (მართალია, ამჯერად უკვე გენმოდიფიცირებულის) – მესიმინდეობისა და მეხორბლეობის, ზოგიერთი სხვა კულტურის დაზღვევას სთავაზობს. „ჯიპიაი ჰოლდინგი“ „პროკრედიტ ბანკთან“ ერთად სიმინდის წარმოების ხელშესაწყობად გლეხებს კომპლექსურ პროგრამას სთავაზობს. ლაპარაკია სათესლე მასალისა და შხამქიმიკატების მისაღებად საგარანტიო მომსახურებაზე, რომელიც ანგარიშსწორებას მოსავლის აღების შემდეგ ითვალისწინებს.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუკი მთლიან საკრედიტო ფონს განვიხილავთ, კომბანკების მიერ აგროსექტორის დაფინანსების მთლიანი მოცულობა 5 პროცენტს მაინც არ აღემატება, თანაც კრედიტებზე წლიური პროცენტები 14-დან 25 პროცენტამდე შუალედში მერყეობს, რაც აშკარად არ გახლავთ სოფლის მეურნეობის წამოწევის ხელშემწყობი ფაქტორი.

იქნებ თემისგან რამდენადმე შორს იყოს, მაგრამ მაინც გვინდა აღვნიშნოთ ასევე ისიც, რომ აგრარული სექტორის გამოცოცხლება მარტო პროდუქციის მოყვანას კი არა, არამედ მის გასაღებასაც, მომხმარებლისთვის მიწოდებას გულისხმობს. ბაზრებსა და ბაზრობებზე ხელისუფლების კონტროლის გამკაცრება, საჯარიმო სანქციების გაზრდა ამ პროცესს ხელს ნამდვილად არ შეუწყობს. თანაც ეს მხოლოდ მაშინ, თუკი იჯარით აღებული მიწები მანამდე ან ბანკში არ იქნება ჩადებული, ანდა უცხო ძიებს არ ექნებათ ნაყიდი.

**ოთარ ტურაბელიძე**

### ფრთხილად!

# სომხებს ჩვენი ვალების დასაკუთრებაც უნდათ?!

**ჯერ კიდევ მაშინ, როცა რუსეთთან ვალების თაობაზე პარლამენტსა და პრესაში დებატების მღვრიე ტალღა აგორდა, გაზეთში გამოვაქვეყნე იუმორნარევი ჩანახატი „ვალები ჩვენი სიმდიდრეა“. ამის წამკითხავი, ვიცი, არა ერთი და ორი გაიკვირვებდა: ეს კაცი რამ გადარია, ვალებით გამდიდრებული ქვეყანა მთელ დუნიაზე ჯერ არავის უნახავსო. არადა, ხომ ფაქტია, ჩვენმა ისტორიულმა ძმამ, თანაც უფროსმა, საბჭოთა კავშირის დანგრევიდან მემკვიდრეობით მიღებული ერთადერთი სიმდიდრე – ვალები, თვალსა და ხელს შუა აგვწაპნა.**

ნეტა გამოეყენებინა მაინც. როგორც ვიცი, საკუთარი და პოსტსაბჭოური ქვეყნების ვალებიდან, რომელიც მან აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციამდე რამდენიმე წლით ადრე მიიტაცა, საერთაშორისო ბაზარზე, სადაც ვალების ფასი თურმე კატასტროფულად დაეცა, ვერც ვერაფერი გაყიდა და მათი სარფიანი რეალიზაციის შანსი ჩვენც სამუდამოდ დაგვაკარგვინა.

ამას კიდევ ავიტანდით, თავს ახალი ტრაგედია რომ არ დაგვტეხოდა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ის ვალები ხომ დავკარგეთ და დიდი ბრიტანეთის ინიციატივით, საქართველო შეიძლება უკიდურესად ღატაკ ქვეყანათა სიაში შეიყვანონ და უკანასკნელ წლებში დიდი გარჯით მოპოვებული ვალებიც ჩამოგვაწერონ. წარმოგიდგენიათ, სადამდე მივიდნენ? მსოფლიოში უპირველეს დემოკრატიულ და რეფორმატორულ ქვეყნად აღიარებული საქართველოს მთავრობას არ ენდობიან და ვალების გაუქმებას უპირებენ.

ეს უკვე მეტისმეტია, მე ვიტყოდი, შეურაცხმყოფელიც. ჩვენ შეიძლება ყველაფერი გადავიტანოთ, ვაჟკაცურად გავუძლოთ უხელფასობას, უპენსიობას, უმუშევრობას, სიღარიბეს, მაგრამ თავმოყვარეობის შელახვას (აფრიკის ღატაკ ქვეყნებთან ტოლფასოვნებას) ნამდვილად ვერავის ვაპატიებთ. კი ბატონო, ულვაში გავიპარსეთ, ევროპელებიც გავხდით (ევროსაბჭოში გავწევრიანდით), მაგრამ სინდის-ნამუსი კი არ დაგვიკარგავს!

ვერ გეტყვით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში რა პოზიცია უკავია თავად ვალების დამგროვებელ ჩვენს ბაძია ხელისუფლებას, მაგრამ ცალკეულ პარლამენტარებსა (უმრავლესობიდან) და ქვეყნის მყვლეფავ ჩინოვნიკებს ამ საკითხში ერის ინტერესების დაცვა რომ შეუძლიათ, ეს ფაქტია. თვითონ შეიძლება ვერც მოიფიქრონ, რა უნდა გააკეთონ სირცხვილის თავიდან ასაცილებლად (ვერც გაამტყუნებთ, საქვეყნო საქმეებს არიან გადაყოლილი), მაგრამ კარგი იქნება, თუ სხვათა რჩევას მაინც დაუჯერებენ. რას ვგულისხმობ? ნუ დაიზარებენ ჟენევის ორმხრივ შეხვედრებზე, საერთაშორისო ფორუმებზე საკუთარი სასახლეებისა და ფეშენებელური აგარაკების ფოტოსურათების ილუსტრირებას და დარწმუნებული ვარ, საქართველო ტრაგედიას გადაურჩება – მას ულატაკეს ქვეყანათა სიიდან უმალ ამოიღებენ.

ამ მხრივ საქმიანი დახმარების გაწევა შეუძლიათ უცხოეთის ბანკებსაც, სადაც ქართველ მილიონერებს თუ მილიარდერებს დიდძალი თანხები აქვთ გადამალული. ამოვწიოთ იქაური დეპოზიტები და სიღატაკის ლიცენზიის მომნიჭებელნი მსწრაფლ დაგვეხმარებიან.

ვალების ჩამოწერისგან თავის დასაძვრენად სხვა ვარიანტებიც გამოდგება. თუნდაც ის, რომ უვალებოდ ცხოვრებას ინტერესი დაეკარგება (ამერიკა რომ ამერიკაა, სტიმულისთვის ისიც არ ერიდება ვალების აღებას). ასეთ სიტუაციაში, თუ არ იქნება უცხოური და შინაური ვალები, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტრანშები, საბიუჯეტო დეფიციტი და სხვა, ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში ჩავარდება ჩვენი ქარიხვეტია ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის ამყვავებელი მოღვაწეობის ყოველგვარ ხალისს დაკარგავს.

კი, მაგრამ ყველაფერ ამასთან რა კავშირში არიან სომხებიო, არ იკითხავთ? თურმე არიან და კაი გვარიან კავშირშიც არიან. როგორც ამ დღეებში ქართულ პრესაში („ახალი თაობა“, 17 მარტი, 2011 წ.) ამოვიკითხე, სომხები იმდენად დაინტერესებულან ჩვენი საგარეო ვალებით, რომ დამსხდარან და პირადად დაუთვლიათ. სომხური სააგენტოს ინფორმაციით, მთლიანობაში საქართველოს საგარეო ვალი 4 მილიარდ 21 მილიონ 210 ათასი აშშ დოლარია. იქვე ჩამოთვლილია ქვეყნები, რომელთა ვალიც გვაქვს, მათ შორის, რა თქმა უნდა, სომხეთიც, რომლისაც თურმე 16 მილიონ 636 ათასი აშშ დოლარი გვმართებს.

საინტერესოა, რატომ დასჭირდათ სომხებს ჩვენი ვალების დაანგარიშება? იმიტომ, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ დაანგარიშებულს არ ენდობიან, თუ იმიტომ, რომ რუსეთის მსგავსად ჩვენთვის ვალების წართმევა უნდათ? ალბათ, ერთიც და მეორეც. **ისე, კაცმა რომ თქვას, სომხებს სადაც რუსთაველის, ილიას და აკაკის (ბევრი სხვა რამის) მისაკუთრება ხელეწიფებათ, ვითომ ვალების მიტაცება გაუჭირდებათ?**

არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივცეთ მათ ამის უფლება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სამომავლოდ რით ვიმართლოთ თავი ჩვენი შვილებისა და შვილთაშვილების წინაშე? ერთადერთი, რაც შეგვეძლო მათთვის მემკვიდრეობით დაგვეტოვებინა, ხელისუფლების მიერ ტანჯვა-წვალებით დაგროვილი ვალებია და ისიც წყალს გავატანოთ?

არა, ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ერის სანუკვარი ვალები (საგარეოც და საშინაოც) როგორმე შევინარჩუნოთ!

**ოთარ ხუციშვილი**

ლონდონი – 2012

# არის პირველი ლიცენზია!



**ქართველი სპორტსმენებიდან ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების პირველი ლიცენზია ტყვიის მსროლელმა ნინო სალუქვაძემ მიიღო. სიდნეიში გამართულ მსოფლიო თასზე მან 10 მეტრიდან პისტოლეტით სროლაში ოქროს მედალი მოიპოვა და ზედიზედ მეშვიდე ოლიმპიადის საგზურიც გაინაღდა.**

მსოფლიო თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე სალუქვაძემ 385 ქულა დააგროვა და ფინალში მეხუთე ადგილით შევიდა, იქ კი ყველაზე კარგად ისროლა – 100,5 ქულა მოაგროვა და გაჩემპიონდა. ლიცენზიის მისაღებად ქართველ მსროლელს სამეულში შესვლაც ჰყოფნიდა.

ნინო სალუქვაძე ექვს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობით ქართველ სპორტსმენებს შორის რეკორდსმენი იყო, 2012 წლის ზაფხულში კი ის თავის მიღწევას 7-მდე გააუმჯობესებს.

შეგახსენებთ, 1988 წელს სალუქვაძე სეულში ოლიმპიური ჩემპიონიც გახდა და მეორე ადგილიც დაიკავა, ხოლო 1988 წელს, პეკინში ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

უეფა

# პლატინის ერა გრძელდება



**უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ მეორე ოთხწლიანი ვადით შეინარჩუნა პასუხსაგები პოსტი.**

**სხვა შედეგი გამორიცხულიც იყო, რადგან საარჩევნო კონგრესზე ფრანგ მაღალჩინოსანს კონკურენტი არ ჰყავდა და მისმა კანდიდატურამ ერთხმად მიიღო ნდობის ვოტუმი.**

აღსანიშნავია, რომ ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოს ფორუმი პარიზში მოეწყო და ეროვნული ფედერაციების თავკაცთა და სხვა დელეგატთა გარდა, ქალაქ ნანსის წარმომავლობით იტალიელ მკვიდრს მხარს საკუთარი კედლებიც უჭერდა.

დავძენთ, რომ წლეულს საფეხბურთო სამყაროს კიდევ ერთი ანალოგიური პროცედურა ელოდება. კერძოდ, 1 ივნისს შევიტყობთ, ვინ უხელმძღვანელებს ფიფას: 1999 წლიდან მისი მასეჭე ზეპ ბლატერი თუ აზიის კონფედერაციის ამბიციური ლიდერი მოჰამედ ბინ ჰამამი, რომელიც საზოგადოებას ნოვატორული რეფორმების განხორციელებას ჰპირდება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

„ფორმულა-1“

# შუმახერი გამარჯვებას აპირებს



**თუმცა ავტორბოლაში „ფორმულა-1“ მსოფლიოს ჩემპიონატის ზამთრის ტესტები დიდი წარმატებების იმედს არ უსახავდა საჯინიბო „მერსედესის“ გულშემატკივრებს, მაგრამ სხვანაირად ფიქრობს გუნდის ახალი ლიდერი, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი, შარშან გუნდთან ერთად პელეტონის შუაგულს რომ ვერ გასცდა.** ის წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე პოდიუმის დაპყრობას ფიქრობს, ამის იმედს კი განახლებული ბოლიდი MGP-WO2 აძლევს. დაპირებებში სახელოვანი მრბოლი ძალზე მოკრძალებულია, მაგრამ რადგან გუნდმა მონდომებით იმუშავა ბოლიდის გაუმჯობესებაზე, ის ასეთი პროგნოზის გაკეთებასაც ბედავს. ახლა მთავარია, ის დროზე მოხვდეს მწვანე კონტინენტზე, მიუჯდეს ბოლიდის საჭეს და დაადასტუროს, რამდენად საფუძვლიანია მისი დანაპირები.

გამოფენა

# 63 წლის ვახტანგ კუცია




**სამხატვრო აკადემიაში ვახტანგ კუციას გამოფენა მოეწყო, სადაც 200 სურათი და კარიკატურა იყო წარმოდგენილი, აქედან 40 ნახატი სპორტს მიეძღვნა. მისი ნამუშევრები პირველად 1965 წელს ჟურნალ „ნიანგში“ გამოქვეყნდა, რამაც რედაქტორი ნოდარ დუმბაძე აღაფრთოვანა. სწორედ აქედან დაიწყო ხელოვანის შემოქმედებითი წინსვლა. სკოლის დამთავრების შემდეგ ვახტანგ კუციამ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში განაგრძო სწავლა, თუმცა საყვარელ და ერთადერთ საქმიანობად მაინც ხატვა მიაჩნდა.**

იგი კარიკატურებს სხვადასხვა თემაზე ქმნიდა და თანდათან საზოგადოების მოწონებას იმსახურებდა. მისი ნამუშევრები იბეჭდებოდა გაზეთებში: „საქართველოს რესპუბლიკა“, „სოფლის ცხოვრება“, „თბილისი“, „ასავალ-დასავალი“, აგრეთვე კახეთის, სვანეთის, იმერეთის რეგიონულ პრესაში. განსაკუთრებული რუდუნებით თანამშრომლობდა აბაშის რაიონულ გაზეთთან, რომელთანაც ფესვები აკავშირებდა.



მისი ნიჭი ძალიან მალე გასცდა საზღვრებს, ვახტანგ კუციას ნამუშევრებმა მოიარა გერმანია, პოლონეთი, ესპანეთი...

ამ გამოფენის ინიციატორი კი ვახტანგის ქალიშვილი ნატალი კუციაა, რომელიც მამის კვალს გაჰყვა. ამჟამად ნატალი სამხატვრო აკადემიის სტუდენტია. ვახტანგს ასევე კარგ მომღერლად იცნობდნენ. იგი ჯერ ანსამბლ „რეროში“, შემდეგ „დიელოსა“ და „ორერაში“ მღეროდა.

ვახტანგ კუციამ – კეთილმა და თავმდაბალმა პიროვნებამ მეგობრებს და ჟურნალისტებს უამრავი საკუთარი ნამუშევარი უსახსოვრა. გამოფენის გახსნის დღეს ვახტანგ კუციას 63 წელი შეუსრულდებოდა. სამწუხაროდ, ძალიან ადრე დატოვა ეს ცხოვრება, მაგრამ მისი შემოქმედება ხსოვნის გაგრძელებაა. სამხატვრო აკადემიაში გამართული გამოფენაც ამის დასტურია.

**ირინა ოზოლაშვილი**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

კალათბურთი

# ევროლიგის ვნებები

**მასპინძელთა გამარჯვებებით დასრულდა ევროლიგის მეოთხედფინალური რაუნდის ოთხივე სასტარტო შეხვედრა, თუმცა ჯერჯერობით ვერავინ იტყვის, რომ აღნიშნული კვარტეტი ოთხთა ფინალში თამაშის უფლებას მოიპოვებს – პლეიოფების სერია ხომ სამ მოგებამდე გრძელდება.**



**„ბარსელონა“ – „„პანათინაიკოსი“ 83:82**

ეს წყვილი საფუძვლიანად მოინათლა ნაადრევ ფინალად.

მოგეხსენებათ, კატალონიელები შარშანდელი ტურნირის ტრიუმფატორები არიან, ხოლო წლეულს მათ მოტივაციას ის ფაქტი აასმაგებს, რომ მაისის დასაწყისში გადამწყვეტი ბატალიები მათ მშობლიურ „პალაუ ბლაუგრანაშია“ დანიშნული.

რაც შეეხება მეტოქეთა პირველ ბრძოლას, მისი შედეგი ყველაფერზე თვალნათლივ მეტყველებს. დარწმუნებულნი ვართ, მოვლენები შემდეგ შეხვედრებშიც უმძაფრესად განვითარდება.

**„ოლიმპიაკოსი“ – „მონტეპასკი“ 89:41**

აქსიომაა, რომ ელადაში თამაში ყველას უჭირს, მაგრამ მართლაც ვერავინ იწინასწარმეტყველებდა, რომ თანამედროვე იტალიური საკლუბო კალათბურთის ფლაგმანი ასე შერცხვებოდა.

საკმარისია ითქვას, რომ პირველი ქულები სტუმრებმა მე-8 წუთზე მიითვალეს, როცა მათმა ბერძენმა ლეგიონერმა ზისისმა სამქულიანი ჩააგდო – 3:19, ხოლო საწყისი ნახევარი ბურუსისის, პაპალუკასის, სპანულისისა და მავროკეფალიდისის ძალისხმევით პირეოსელებმა 47:7(!) მოიგეს.

და ბოლოს, დუშან ივკოვიჩის შეგირდებმა ყველას აჩვენეს, როგორ უნდა ითამაშო დაცვაში.

**„ტაუგრესი“ – „მაკაბი“ 76:70**

ებრაელებმა საუკეთესო მონაგარით დაასრულეს რეგულარული სეზონი და ბასკურ კლუბთან დუელშიც სპეციალისტები ფავორიტად მათ მიიჩნევდნენ, მაგრამ ასეთი პროგნოზები ვიტორიელთა სულის და გულის სან ემეტერიოს ფაქტორმა გააცამტვერა. საფინალო სასტვენამდე მისი ნეიტრალიზება ვერავინ მოახერხა.

**„რეალი“ – „ვალენსია“ 71:65**

პირენეული დერბის ბედი ბოლო წუთებზე გააქტიურებულმა ნიკოლა მიროტიჩმა გადაწყვიტა, რომელმაც ამასწინათ მიიღო ესპანეთის მოქალაქეობა. არადა, ჩერნოგორიის კალათბურთის ფედერაცია ბოლო მომენტამდე ცდილობდა 18 წლის ვუნდერკინდის დაყოლიებას, იქაური ეროვნული ნაკრების ღირსება დაეცვა.

**დღეს სერიის მეორე მატჩები გაიმართება.**

**პლატონ გიორგაძე**

სიტუაცია

# ვინ შეცვლის იაპონიას?



**25-31 აპრილს იაპონიას ფიგურულად მოციგურავეთა მსოფლიო ჩემპიონატისთვის უნდა ემასპინძლა, მაგრამ ბუნებისგან იავარქმნილ ამომავალი მზის ქვეყანაში, აბა, ვიღას ესრიალება?**

ბუნებრივია, სპორტის აღნიშნული სახეობის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობას ფორსმაჟორული სიტუაციიდან თავდასახსნელად სათადარიგო ვარიანტების მოძებნა დასჭირდა და, ეტყობა, მალევე დაასახელებს მომავალი ფორუმის ორგანიზატორ სახელმწიფოს. ყოველ შემთხვევაში, საქმე უკვე ასარჩევადაა, რადგან განაცხადი ოთხმა ეროვნულმა სუბიექტმა შეიტანა. აშშ, კანადა, ფინეთი თუ რუსეთი? – ამ კითხვას პასუხი უახლოეს დღეებში გაეცემა.

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

## მესი – ყველაზე მდიდარი



**ფრანგული მასმედიის გაანგარიშებით, ესპანური „ბარსელონას“ არგენტინელი თავდამსხმელი ლიონელ მესი მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია – ის წელიწადში 31 მილიონ ევროს გამოიმუშავებს.**

მეორე ადგილზეა ესპანური სამეფო კლუბის „რეალის“ პორტუგალიელი ნახევარმცველი კრიშტიანუ რონალდუ – 27 მილიონი ევრო. ყველაზე მდიდარ ფეხბურთელთა სამეულშია აგრეთვე ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელი უეინ რუნი, მისი წლიური შემოსავალია 20,7 მილიონი ევრო.

ყველაზე მაღალხელფასიან მწვრთნელად ფრანგმა ექსპერტებმა აღიარეს „რეალის“ თავკაცი ჟოზე მაურინიუ – 13,5 მილიონი ევრო. აქ მეორეა „ბარსელონას“ დამრიგებელი ხოსეპ გვარდიოლა – 10,5 მილიონი ევრო, მესამე ადგილი კი დაიკავა იტალიური „ინტერის“ ყოფილმა მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა – 10,2 მილიონი ევრო.

## ექსტრიმის სამყაროში

**კანადური კვებეკი მასპინძლობდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალს ციგურებით სწრაფდაშვებაში. 540-მეტრიან ტრასაზე პირველობისთვის იბრძოდა 64 რეიდერი. ამ „თავზეხელაღებულთა“ პაექრობას თვალს ადევნებდა 110 ათასზე მეტი გულშემატკივარი.**



თითქოს რუსეთელ ანდრეი ლავროვს, ნახევარფინალში რომ დაჯაბნა 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, გერმანელი მარტინ ნიფნევერი და კანადელი სკოტ კროქსალი, გამარჯვება განაღდებული ჰქონდა. ის ხომ პირველი რუსეთელი იყო, ამ ასპარეზობის ფინალში რომ მოხვდა. გადამწყვეტ გარბენში თავიდანვე წინ გაიჭრა სეზონის ლიდერი ფინელი არტუ პიჰლაინენი. მოსახვევში ლავროვი ბორტს წამოედო და წინ გაუშვა ორი კანადელი მოციგურავე, თავად კი მეოთხე ადგილზე გავიდა. ადგილები საბოლოოდ ასე განაწილდა 1. პიჰლაინენი (ფინეთი), 2. კაილ კროქსალი (კანადა), 3. სკოტ კროქსალი (კანადა).

## თუმცა მარადონას არ იცნობს



**არგენტინული პრესა განაგრძობს ჭორების გაბერვას ლეგენდარული დიეგო მარადონასა და პარაგვაელი მოდელის ლარისა რიკელმეს გარშემო. მას შემდეგ, რაც პარაგვაელი ლამაზმანი მიიწვიეს შოუში „ცეკვები ოცნებაზე“ მონაწილეობისთვის, მთელ სამხრეთ ამერიკას მოედო ხმები, თითქოს დიდი დონ დიეგო ლარისაზეა შეყვარებული.**

საწყალ რიკელმეს არ ასვენებენ ჟურნალისტებიც კითხვებით მის კავშირზე 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონთან, ამას წინათ კი, დიდი ინტერვიუ რომ შესთავაზეს მათ ურთიერთობაზე, ლარისამ მრისხანედ უპასუხა: „მე ამ შოუში რომ მოვხვდი, მარადონა არაფერ შუაშია, მომავალზე კი ვიტყვი, თუ არა მარადონა, მაშინ არავინ“.

ბოლოს კი ხმამაღლა განაცხადა – მე ის არასოდეს მინახავსო!

◎ იხსნება ფრიდონ სულაბერიძის „ვარსკვლავი“

# ჩაიქროლოს წელმა ასმა – ვერვინ შეძლოს შენებრ „გასმა“



ვინ არ მოუყვანია აღტაცებაში, ვისთვის არ აუჩქროლებია გული ფრიდონ სულაბერიძის „ქართულს“ – ვაჟის შემართებას, გულის სწორისკენ რაინდულ სწრაფვას – მის უბადლო „გასმას“, როდესაც, თითქოს, სცენას არცკი ეკარება მოცეკვავის ტერფი, თითქოს ჰაერში მინავარდობს იგი სასურველისკენ, რათა შემდეგ მორჩილად მოუდრიკოს ქედი და საცეკვაოდ გამოიწვიოს...

მე, პირადად, უკეთესი სანახაობა არ მომსწრებია, ძვირფასო მკითხველო, და, რა გასაკვირია, როდესაც ჩვენს გენიალურ მოცეკვავეზე (25 მარტს რომ „გაავარსკვლავებენ“ძ ერთი-ორი სიტყვა მინდა ვთქვა, სწორედ მისი „გასმა“ მიდგას თვალწინ და აკი, წერილის სათაურიც თავისით მოვიდა, ლექსად მოვიდა: „ჩაიქროლოს წელმა ასმა, – ვერვინ შეძლოს შენებრ „გასმა“. იმედია, მეთანხმებით...

მაგრამ ამის მიღწევას ხომ ნიჭიერებასთან ერთად დაუღალავი შრომა სჭირდებოდა?..

– ხალხი რომ ფეხბურთის მატჩის საყურებლად „დინამოს“ სტადიონისკენ მიდიოდა, მე საპირისპირო მხრიდან კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში მივიჩქაროდი, – იგონებს ფრიდონი, – იქ მელოდა ჩემი დაუვიწყარი პედაგოგი ავთანდილ თათარაძე და რეპეტიცია ქანცგაწყვეტამდე... მერე კი „სუხიშვილებში“... შრომა იქ იყო, თუ იყო... რეპეტიციის შემდეგაც ვრჩებოდი, კიდევ და კიდევ ვხვეწდი ილეთებს... ჩვენი უმკაცრესი ქალბატონის ნინო რამიშვილისგან იმასაც კი მოვესწარი, კარგი, მორჩი, ჭლექი არ დაგემართოსო...

ჰოდა, ასე მიაღწია იმ ოსტატობას, რამაც „ქართულის“ ხილვისას (იამზე დოლაბერიძე, ფრიდონ სულაბერიძეძ ჟენევის უზარმაზარ, ხალხით გაჭედილ დარბაზში სამჯერ მთელი ხმით დააძახებინა სამშობლომონატრებულ გრიგოლ რობაქიძეს – „გაუმარჯოს საქართველოს!“ ხოლო, მოგვიანებით, დაწერა კიდეც – „ქართული გენია როკვით განფენილი“.

– ამ ცეკვაში მართალაც ყველაფერი ჩაუქსოვია ქართველ კაცს – თავისი გენისა და ჯიშის სიკისკასეც, ისტორიაც, ქალისადმი დამოკიდებულებაც... ბევრი ცეკვავდა შესანიშნავად, სად არ ცეკვავდა ამ „სიყვარულის პოემას“, მაგრამ რა ბედნიერება იყო, როდესაც „ლა სკალას“ სცენაზე შევასრულეთ იგი მე და ლატავრა ფოჩიანმა...

– ისე, დიდოსტატობა, არც „კინტოურისა“ და „აჭარულის“ თქვენეულ შესრულებას აკლდა...

– ჰო, რა ვიცი, ზოგს არ ეგონოს, მარტო „ქართულს“ ვცეკვავ, – ეღიმება ფრიდონს.

ალბათ, ცალკე თემაა ფრიდონ სულაბერიძის მოღვაწეობა ანსამბლ „რუსთავში“.

ჩვენი ძვირფასი ანზორ ერქომაიშვილის აზრით, ფრიდონმა, შეიძლება ითქვას, ახალი სუნთქვა შემოიტანა ანსამბლში. დაიწყეს სიმღერისა და ცეკვის შერწყმა, რაც სათანადოდ შეაფასა კიდეც მაყურებელმა და მსმენელმა, რაც მთავარია, მეტად გამოჩნდა ჩვენი დალოცვილი ფოლკლორის უკიდეგანობა...

– რა დრო გავიდა... უკვე 53 წელიწადია, ჩვენ ვმეგობრობთ, ერთად გადავიტანეთ ბევრი რამ... ჩემი აზრით, ფრიდონ სულაბერიძე ყველა დროის ჩვენი საუკეთესო მოცეკვავეა...

– ა, ძმაო, ანზორის აზრი... – ვეუბნეები თანამოსაუბრეს.

– მე ის ვიცი, ანზორი რომ არა, მე შეიძლება ცეკვისთვის, საერთოდ თავი დამენებებინა... ვაჟიშვილი რომ დამეღუპა, გარეთ აღარ გამოვდიოდი... ანზორმა იმდენი ქნა, იმდენი „მიტრიალა“, მაინც დამაბრუნა „რუსთავში“... აი, ვინ არის, მართლაც დიდი კაცი...

– ღმერთმა იმ ვაჟიშვილის სული გაანათლოს... მეორე – უმცროსი ფრიდონ სულაბერიძე – როგორ გგონიათ, „გასწევს“ თქვენსავით?..

– ურიგოდ არ ცეკვავს, აი, 25-ში, საკონცერტო დარბაზის სცენაზე, ის იცეკვებს „ქართულს“... საერთოდ, ძალიან მინდა, რომ მაჯობოს... ვნახოთ...

* * *

ფრიდონ სულაბერიძის „ვარსკვლავის“ გახსნამდე კი საკონცერტო დარბაზის სცენას, რაღა თქმა უნდა, ანსამბლი „რუსთავი“ დაამშვენებს, აგრეთვე, ფრიდონ სულაბერიძის პატივსაცემად სპეციალურად ჩამოვა თურქეთიდან 10 მოცეკვავე ბიჭი – ჩვენი ფოლკლორის მოამაგენი და უზადო შემსრულებლები, რათა ერთხელაც გვარძნობინონ ქართული გენის უკიდეგანობა და უკვდავება.

ჯვარი გვწერია!

ვილენ მარდალეიშვილი

სურათზე: „ქართულს“ ასრულებენ ლატავრა ფოჩიანი და ფრიდონ სულაბერიძე.
თენგიზ უთმელიძის ფოტო

◎ მოდა

## კვლავ მკვეთრი ფერები, გრძელი ქვედაბოლოები, ორნამენტიანი მაისურები...




2011 წლის 31 მარტიდან 3 აპრილის ჩათვლით შოთა რუსთაველის თეატრში გაიმართება საქართველოს მოდის კვირეული „შემოდგომა-ზამთარი“. კვირეულთან დაკავშირებით ორგანიზატორებმა პრესკონფერენცია გამართეს. ჩვენებაში 15 ქართველი და 3 უცხოელი დიზაინერი მიიღებს მონაწილეობას. მოწვეულ სტუმრებს შორის იქნებიან კრიტიკოსები, ჟურნალისტები, რედაქტორები, მოდის სფეროში მოღვაწე პროფესიონალები, აგრეთვე იტალიელი, სომეხი და აზერბაიჯანელი დიზაინერები. კვირეულს ცნობილი ფრანგი კოლექციონერი ბასტინ დე ალმეიდა გახსნის.

მოდის წამყვანმა ბრენდებმა უკვე დაიწყეს საზაფხულო კოლექციებზე მუშაობა, წელს მოდაშია მკვეთრი ფერები. აბრეშუმის, შიფონისა და სტრაზებით მორთული ქსოვილი. კვლავაც აქტუალური გახდა გრძელი ქვედაბოლოები, ორნამენტებიანი მაისურები. მოდამ არც იმ ქალბატონებს დასწყვიტა გული, ვისი ასაკიც 40 წელს სცილდება. სპეციალურად მათთვის ტანსაცმლის ახალი ხაზი შეიქმნა. რომელშიც შედარებით მშვიდი ფერებია წარმოდგენილი. ყოველდღიურ ტანსაცმელთან ერთად კოლექციებში შესულია კლასიკური სწორი შარვლები, პიჯაკები, კაბა-სილუეტები. შეიცვალა საქორწილო მოდაც. თუკი ერთ დროს გრძელი და ფუშფუშა კაბები დომინირებდა, წელს ეს სტილი მოკლე თეთრმა და ჩალისფერმა კაბებმა ჩაანაცვლა.



დიზაინერებმა არამარტო ქალბატონებზე, არამედ მამაკაცებზეც იზრუნეს. წლევანდელ კოლექციაში ჭარბობს კლასიკური ელემენტები, აქტუალურია ღია და მუქი ნაცრისფერი.

ირინა ოზოლაშვილი

მეუღლე ეთიკო ბოჭოიძე, შვილები ნინო, მაია ნემსაძეები, სიძეები დათო ხაზარაძე, კაკო სხირტლაძე, შვილიშვილები თენგო, ლუკა, ივანე სხირტლაძეები, გიორგი, ლიზი, ნატალია ხაზარაძეები, სიდედრი ნუნუ ბოჭოიძე, ცოლისძმა ლევან ბოჭოიძე ოჯახით, მძახლები გიორგი ხაზარაძე, ლერა ტატიშვილი, თენგო სხირტლაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა



ვანიკო ნემსაძე

პანაშვიდი 24, 25 III, 17 სთ. ბაზალეთის №3, გამოსვენება 26 III, 15 სთ. საბურთალოს სასაფლაოს მაცხოვრის ამაღლების ეკლესიიდან.

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის წევრები, აპარატი და სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო თანაუგრძნობენ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს თეიმურაზ წურწუმიას მამიდის

ლენა წურწუმია-კილასონიას

გარდაცვალების გამო.

მეუღლე მედიკო კახეთელიძე, შვილი ქეთევანი, სიძე ავთანდილ ბაქრაძე, შვილიშვილები თამუნა, პეტრე ბაქრაძეები, სიძე ზურაბ პოლოლიკაშვილი, რძალი ეკატერინე ჩიჩუა, და ლონდა ტატიშვილი, სიძე გურამ ჩაჩანიძე, მძახლები ნორა ბაქრაძე, ელისო, გია პოლოლიკაშვილები, გოგა, მანანა ჩიჩუები, ცოლისძმა გივი კახეთელიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ალექსანდრე (შურიკოძ ტატიშვილი

პანაშვიდი 24, 25 III, 17 სთ. გამოსვენება 26 III, 15 სთ. მისამართი: თბილისი, ირაკლი აბაშიძის 17.

### განცხადება

2011 წლის 23 აპრილს, დღის 11 საათზე, გაიმართება ჩოხატაურის სააქციო საზოგადოება „ტრანსპორტელის“ აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. სს „ტრანსპორტელის“ 2010 წლის სამეურნეო საქმიანობის შედეგებისა და წლიური ბალანსის განხილვა;
2. განცხადებების განხილვა.

**მისამართი: ჩოხატაური, გოგიბერიძის ქ. 49.**

ადმინისტრაცია

### განცხადება

2011 წლის 12 აპრილს 15 საათზე ჩატარდება სააქციო საზოგადოება „ოპიზარის“ აქციონერთა საერთო კრება, მისამართზე: ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. № 121.

დღის წესრიგი:

1. 2010 წლის ბალანსის შედეგების განხილვა; (მომხს. ნ. გუმბერიძეძ
2. მოგების განაწილების შესახებ დამტკიცების მიღება; (მომხს. ჩ. მიქაძეძ.
3. სხვადასხვა.

სს „ოპიზარის“ აქციონერთა რეგისტრაციის საალრიცხვო დღეა 2011 წლის 25 თებერვალი.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## დაიჯესტი

### „მადონა კატით“: მითი თუ რეალობა?



ხელოვნების ისტორიკოსები ძალიან დიდი ხნის მანძილზე ცდილობდნენ ლეონარდო და ვინჩის ფერწერული ტილოს „მადონა კატით“ გამოცანის ამოხსნას. მათ განკარგულებაში იყო მადონასა და კატის ჩანახატები, მაგრამ თავად სურათს, როგორც ჟურნალი „ნიუსუიკი“ აღნიშნავს, უცნაური რამ სჭირდა. 1939 წელს იგი მილანის გამოფენაზე გამოჩნდა, მაგრამ... უმალვე გაქრა. ბოლოს ამ საიდუმლოებას თითქოს ფარდა აეხადა...

ბოლოს სურათს გარდაცვლილი მხატვრის ჩეზარე ტუზინოს საძინებლის კედელზე მიაგნეს. ანდერძში მხატვარმა აღიარა, რომ „მადონა კატით“... მისი დახატულია. „ლეონარდოს მასთან არავითარი კავშირი არა აქვს“, – დაწერა მან. მისივე თქმით, 1939 წელს მან ეს სურათი გამოფენაზე „ფაშისტური რეჟიმის სასტიკი დიქტატურის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად“ გაგზავნა.

„აღსანიშნავია, რომ სურათის ყალბად აღიარება მისდამი კოლექციონერთა ინტერესი სულაც არ გაუნელებია“, – წერს „ნიუსუიკი“. ერთ-ერთი იტალიური გაზეთის ცნობით, ტუზინოს მემკვიდრეებს ტილოში კოლოსალურ თანხებს სთავაზობენ, მაგრამ ისინი მის გაყიდვას არ აპირებენ.

„გამორიცხული არ არის, რომ ახლო მომავალში საჭირო გახდეს იმის გადაწყვეტა, ხომ არ დახატა აღმაფრენის მომენტში ტუზინომ თვით ლეონარდოზე უკეთესი სურათი?“

### რას გვაძლევს, ნეტავ, ეს ცოდნა?

**კოლუმბიელ ჰაიმე გარსია სერანოს მეტსახელად „კომპიუტერას“ ეძახიან, ვინაიდან ზეპირი მათემატიკური გაანგარიშებების სისწრაფით ეს 34 წლის კაცი ელექტრონულ კალკულატორს ჯობნის! სინიორ სერანომ 100 ციფრისგან შემდგარი რიცხვიდან მე-13 ხარისხის ფესვის ამოღება წამის 15 მეასედში შეძლო (!!ძ, შემდეგ კი წამში დაიმახსოვრა 200 ციფრისგან შემდგარი რიცხვი.**

ამჟამად, იგი ახალი „გმირობისთვის“ ემზადება: ბატონი ჰაიმე აპირებს, ზეპირად ისწავლოს მთელი კალენდარი მოყოლებული ჩვენი წელთაღრიცხვის 1-ლი წლიდან, მერე კი უმალ უპასუხოს კითხვებს, თუ კვირის რომელ დღეზე მოდიოდა თუ მომავალში მოვა ამა თუ იმ წლისა და თვის ნებისმიერი რიცხვი.

ეს ამბავი, თავისთავად, გასაოცარი კი არის, მაგრამ რაიმე პრაქტიკული დანიშნულება თუ აქვს, ამის თაობაზე კოლუმბიის პრესა არაფერს იტყობინება.

### კეთილგანწყობის საიდუმლო

**ტკბილეულის მოყვარულებს უდავოდ გაახარებს ცნობა იმის თაობაზე, რომ ნუგბარი, და შაქარიც მათ შორის, რამდენჯერმე (მართალია, მცირე ხნით, მაგრამ მაინცძ ამცირებს სისხლში სტრესის ჰორმონის კორტიზოლის შემცველობას.**

გამოკვლევებით დადგინდა, რომ ფინჯანი ტკბილი ჩაის დამლევი ხალხი უცხოებს უფრო კეთილმოსურნედ ეპყრობა, ვიდრე ისინი, ვისაც ტკბილი ჩაი არ დაულევია. ცალკეა აღსანიშნავი, რომ შაქრის შემცვლელებით ან მურაბით დატკბილული ჩაი მსგავს ეფექტს არ იწვევს.

### ... და მშვენიერ ხარჭათა საზოგადოებაში



**ჩინელმა მოაზროვნემ ლუ იუიმ „ჩაის ტრაქტატი“ 780 წელს შექმნა და მასში მრავალი სასარგებლო რჩევაა. ზოგი მათგანი კარგადაა ცნობილი. მაგალითად, წყალი უნდა მიიყვანოთ იმ სტადიამდე, როცა „ზევით ამომავალი ბუშტების დანაწევრების ჯადოსნობა დაიწყება“, რის შემდეგ უნდა დაუმატოთ ერთი მწიკვი მარილი; ჩაი უნდა დააყენოთ კერამიკულ ჩაიდანში და ფაიფურის ფინჯნით დალიოთ და ა.შ.**

ტრაქტატში ასევე მითითებულია, რომ მეტად მნიშვნელოვანია, წყალი მთის ნაკადულიდან აიღოთ და არავითარ შემთხვევაში – ჩანჩქერიდან ან აქაფებული მდინარიდან. ასევე მოერიდეთ ონკანის წყალს! უკიდურეს შემთხვევაში, შეგიძლიათ, ჭის წყალი იხმაროთ.

ასევე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩაის სმის ადგილს. საამისოდ საუკეთესო ადგილია ბამბუკის ტყე, ან ლამაზად მოხატული გემბანი, ანდა კოხტა ფანჩატური, თან მშვენიერი ხარჭების საზოგადოებაში.

კაცმა რომ თქვას, ასეთ „საზოგადოებაში“ ჩაისაც კი დალევს კაცი!

## ცნობისმოყვარეთათვის

### სად, რა, როდის?

● „ჩვენ ბარბაროსი შემოვუშვით ევროპაში“, – ამბობდა სტალინზე ჩერჩილი.

● ჩინელი კომუნისტების ლიდერი მაო ძედუნი თურმე არასოდეს იხეხავდა კბილებს, რასაც ასე ხსნიდა: „გინახავთ ვეფხვი კბილებს იხეხავდეს?“

● ცნობილ ადამიანებს შორის ყველაზე ღორმუცელად რუსი მეიგავე ივანე კრილოვი ითვლებოდა. ერთ ჯერზე მწერალი 3 თეფშ ბორშჩს, 2 ცივ კერძს, 4 ულუფა ხორციან კერძს, ნახევარ შემწვარ ინდაურს, 2 კგ მწნილსა და 3 კგ ხილს ჭამდა, ხოლო დესერტად ერთ ღვეზელს და ერთ თეფშ ტკბილ ფაფას აყოლებდა. მეიგავე ნაწლავების გადახლართვით მოკვდა.

● ბევრ ცნობილ ადამიანს სავსებით უვნებელი საგნებისა და მოვლენების ქრონიკული შიში ჰქონდა. მაგალითად, კომპოზიტორ პეტრე ჩაიკოვსკის თაგვებისა და მოჩვენებების ეშინოდა, ინგლისელი ფილოსოფოსი თომას კარლეილი ხალხის წინაშე სიტყვით გამოსვლისას ფითრდებოდა და სიმწრით ოფლი ასხამდა. გერმანელ ფილოსოფოს არტურ შოპენჰაუერს მთელი ცხოვრება ქურდებისა და გაძარცვის ეშინოდა. ქონების დაცვის მიზნით ის ფასეულ ნივთებს ბინაში იმდენად მოხერხებულად მალავდა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ყველა ნივთის პოვნას ლათინურად შედგენილი ანდერძის გაშიფვრა და რამდენიმეწლიანი დაუღალავი შრომა დასჭირდა. დაწოლის წინ ფილოსოფოსი ბალიშის ქვეშ დატენილ პისტოლეტს და დაშნას ინახავდა, ისე კი ფილოსოფოსის სახლში ქურდებს არასოდეს შეუხედავთ.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

**იყიდება, ქირავდება!**

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ ვრცელი ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით.
868 838 858

**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7039 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3650 ლარი |
| 1 ბირ. სტ. | – 2.7283 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9316 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.6346 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1479 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1473 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0749 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5928 ლარი |

### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +2 – +11 |
| ქუთაისი. | +3 – +10 |
| ბათუმი. | +3 – +8 |
| ზუგდიდი. | +3 – +10 |
| თელავი. | +2 – +11 |

## ანეკდოტები

ქალი ავტოინსპექტორივითაა: ხასიათს გაგიფუჭებს, კითხვებით აგავსებს, ფულს გამოგძალავს და კიდევ შენ იქნები დამნაშავე...

* * *



ზოგიერთ თანამედროვე ოჯახში მამაკაცი დიასახლისობს, მეორე მამაკაცი კი ფულს გამოიმუშავებს.

– სერ, მანქანა თქვენს სადარბაზოსთან დგას! გამოიტანთ ნაგავს?

* * *

ზღვა. მზე. პლაჟი. ბურთივით ჩამრგვალებული დაშა თითქოს გადააგორდება თავზე ტალღას. მერე შეტრიალდება და ქმარს შესძახებს:

– პეტკა, ნახე, როგორ მაკოცა ტალღამ?

– ვნახე, – ეთანხმება იგი. – ისიც ვნახე, მაშინვე როგორ აღებინა იმავე ტალღას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ძ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.